ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 153 პარასკევი, 7 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 7 ივლისი 1922 წ. № 153

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ყველა კომიაჩეიკებს
— პარასკევს 7 ივლისს —

მორიგ ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან შემდეგი საკითხები:

1) გერმანიის ამბები;

2) ერთიანი პარტიული დღე, პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრება იაჩეიკებზე და დამხმარე იაჩეიკების შესახებ.

მოხსენებები უნდა ჩატარდეს მიმაგრებულ ამხანაგების საშუალებით.

მოხსენებისათვის გერმანიის ამბების შესახებ, უნდა ისარგებლონ თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თეზისებით, რომლებიც მოთავსებული იყო გაზეთ „პრავდა გრუზიის“ და „კომუნისტის“ კვირის ნომერში.

დღის წესრიგის მეორე პუნქტისათვის ისარგებლონ თბილისის კომიტეტის ცირკულიარით №№ 166, 167 და 172.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**
საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **რუბენი.**

პარასკევს, 7 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სასახლის სპარსულ ზალაში გაიმართება

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მდივანი: თ. კალანდაძე.

ისევ კოოპერაცია

ჩვენ რამდენიმეჯერ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა ის არა ნორმალური დამოკიდებულება, რომელიც იმ თავითვე დამყარდა სამოქალაქო და მუშათა კოოპერაციას შორის. ამას წინად გავაცანით მკითხველებს ის აშკარად მტრული განწყობილება მუშათა კოოპერატივისადმი, რომელიც გამოიჩინა თბილისის კოოპერატივთა კავშირმა.

ამ კავშირის საქციელი არ არის გამონაკლისი და შემთხვევითი მოვლენა. მუშათა კოოპერაციას კრიჭაში უდგას და ცდილობს მის მუშაობის შეფერხებას საერთოდ სამოქალაქო კოოპერაცია და კერძოდ ცეკავშირიც.

როგორც ვიცით, 1921 წლის ნოემბერში შესდგა საქართველოს მუშათა კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც აირჩია მუშათა კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრი. ეს ცენტრი, თათბირის მიერ მიღებულ დადგენილებით, უნდა არსებულიყო ცეკავშირთან და მას ამ უკანასკნელის აპარატის საშუალებით ეწარმოებია თავისი მუშაობა. მაგრამ ცეკავშირი ჯიუტობას იჩენს და დღემდე ეწინააღმდეგება აღნიშნულ დადგენილების განხორციელებას; ცეკავშირი არ სცნობს მუშათა კოოპერატივების ცენტრს იურიდიულ პიროვნებად და არც მის მიერ წამოყენებულ ნორმას-მუშათა კოოპერატივების წარმომადგენლებისა ცეკავშირის ყრილობაზე. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მუშათა კოოპერატიული ცენტრი მოკლებულია საშვალებას გაფანტულ მუშათა კოოპერატივებს ხელმძღვანელობა გაუწიოს, მათ მუშაობას მიმართულება მისცეს და მათი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს.

რაშია საქმე! რატომაა ასე მტრულად განწყობილი სამოქალაქო კოოპერაცია და მისი ცეკავშირი მუშათა კოოპერაციისადმი?

ჩვენ ვიცით, რომ სამოქალაქო კოოპერატივში გაერთიანებულია წვრილ-ბურჟუაზიული მასსა. აქ დიდი გავლენა აქვთ „კულაკებს“, სხვა და სხვა ჯურის კომბინატორებს, ხალხის წურბელებს. მშრომელი და ღარიბი მასსა ისევ დაჩაგრულია აქ, ის არ არი სათანადოდ ჩაბმული აქტიურ კოოპერატიულ შემოქმედებაში. კოოპერატივების მმართველ ორგანოებში დღემდე გაბატონებულია საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა კლასის მოწინააღმდეგენი—მენშევიკები, მემარჯვენე ფედერალისტები და სხვა კონტრ-რევოლიუციონერები. ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მათი განდევნა ამ მნიშვნელოვან სამეურნეო ორგანიზაციებიდან, და ისინი, იქ მოკალათებულნი, ეკონომიურ ფრონტზე აწარმოებენ, ბრძოლას მშრომელთა დიქტატურის წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში ცხადია, თუ რატომ იჩენს სამოქალაქო კოოპერაცია მტრულ დამოკიდებულებას მუშათა კოოპერაციისადმი და არაფერი სურს მასთან საერთო ჰქონდეს.

სამოქალაქო კოოპერაციაში თავმოყრილ მეშჩანურ მასსას ეშინია გაერთიანებულ მუშათა კლასის, რომელიც ცდილობს შეიჭრას ამ ორგანიზაციებში და მისი საქმიანობა წარმართოს საბჭოთა სახელმწიფოს და მშრომელთა ინტერესების მიხედვით. ეს მასსა, პირიქით, ისწრაფვის დაშალოს მუშათა ორგანიზაციები, გათქვიფოს პროლეტარიატი თავის ორგანიზაციებში და დაუმორჩილოს ის წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის გავლენას.

ამასთან მუშათა კლასის გავლენის გაძლიერება სამოქალაქო კოოპერაციაზე, საფრთხეს განუმზადებს იქ ეხლა მოკალათებულ პირების ბატონობას; ამ უკანასკნელთ მაშინ არამც თუ საშუალება ექნებათ განაგრძონ ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ მოსალოდნელია, ისინი თბილ ადგილებსაც დაკარგავენ.

ამგვარად, იმ ბრძოლას, რომელიც გაჩაღებულია ჩვენში ეხლა სამოქალაქო და მუშათა კოოპერაციას შორის უაღრესი კლასიური ხასიათი აქვს. ესაა არსებითად ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. პირველი ცდილობს მდგომარეობის შენარჩუნებას, მეორე იბრძვის მშრომელთა უფლებების განსახორციელებლად კოოპერაციაში.

პროლეტარიატის ეს ბრძოლა კონკრეტიულად ორი მიმართულებით წარმოებს. რაკი ცეკავშირი შეურიგებელ პოზიციაზე დგას და არ სურს ხელი გაუწოდოს მუშათა კოოპერაციას, ამ უკანასკნელის ცენტრი მისგან დამოუკიდებლად იწყებს თავის პრაქტიკულ მუშაობას, ქმნის საკუთარ აპარატს სავაჭრო-სამეურნეო ოპერაციების საწარმოებლად.

მეორე მხრივ პროლეტარიატი ხელს არ იღებს სამოქალაქო კოოპერაციის დაპყრობაზე. ამ უკანასკნელშიაც უნდა გაბატონდეს ნამდვილი მშრომელი ხალხი და გაძევებულ იქნას იქედან ყველა საეჭვო ელემენტები და ხალხის მტერნი. ამ მიზნით მშრომელ მასსის ამოძრავება შეადგენს ჩვენს მორიგ ამოცანას. და როდესაც თვით მშრომელი ხალხი ჩაუდგება სათავეში კოოპერატივებს, განდევნის იქედან „კულაკებს“, პარაზიტებს და ყველა ნაძირალებს, მაშინ ბოლო მოეღება იმ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს სამოქალაქო და მუშათა კოოპერაციას შორის.

ჩვენ ამხანაგებს მმართებთ ენერგიული მუშაობის წარმოება როგორც მუშათა კოოპერაციის და უკვე დაწყებული დამოუკიდებელი აპარატის მიზანშეწონილი ორგანიზაციისათვის, ისე სამოქალაქო კოოპერაციის დაავადებული ორგანიზმის გასაჯანსაღებლად.

საბჭოთა რესპუბლიკაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთი ორგანიზაცია და მუშაობდეს მხოლოდ ისეთი ხალხი, რომელნიც ისახავენ მიზნად საბჭოთა წყობილების ყოველ მხრივ განმტკიცებას და მშრომელთა ინტერესების დაცვას.

ასეთად უნდა გავხადოთ კოოპერაციაც, როგორათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის საქმე განსაცდელშია

ჯანმრთელობის საქმე რესპუბლიკაში ამ ჟამად მწვავე კრიზისს განიცდის.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ამ სფეროშიაც შეიტანა შესამჩნევი ცვლილება.

ყველა დაწესებულებათა გადასვლა ფასის გადახდევინების პრინციპზე, საჭირო მასალების და საგნების თუნდაც ნისიად მიღების სრული შეუძლებლობა, დაბოლოს მრავალ სამკურნალო დაწესებულებათა სახელმწიფოს მომარაგებიდან მოხსნა და მათი ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაყვანა, რომელიც ფაქტიურად ეხლა ხან იქნება, —აი ყველაფერმა ამან დიდათ გაართულა და გააძნელა ჯანმრთელობის ორგანოების მუშაობა, რომელიც ისედაც მეტად ცუდ პირობებში სწარმოებდა. თუ რამდენად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია ახალ კურსზე გადასვლა, შეიძლება დავასკვნათ იქიდან, რომ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მოსამსახურეთა რიცხვიდან—4821 კაც. და 3 300 საწოლიდან სახელმწიფოს მომარაგებაზე დარჩა სულ—960 კაცი და 1.027 საწოლი. ადგილობრივ საშუალებებზე გადაყვანილია—2.739 მოსამსახურე და 2.273 საწოლი და სამეურნეო ანგარიშზე და თვით გამოსყიდვის პრინციპზე 1.122 კაცი. ყოველმხრიდან ჩვენ მოგვდის ცნობები შემოკლების შესახებ, და ზოგჯერ ქალაქის და სოფლის საავადმყოფოების, აფთიაქების, საექიმო და საფერშლო პუნქტების და სხვ. სრული გაუქმების შესახებ, საშუალებათა, მედიკამენტების და ინვენტარის უქონლობის გამო. ჩვენში არის მაზრები, სადაც ერთ საწოლზე მოდის 40.000—60.000 მცხოვრები, როდესაც მინიმალური ნორმა არის 1 საწოლზე—1.000 კაცი.

ჯანმრთელობის საქმის ასეთი მდგომარეობის და ამ უკანასკნელ 8 წლის განმავლობაში დასუსტებული ორგანიზმის მიერ ავადმყოფობისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემცირების შედეგები თვალწინაა: ეპიდემია, რომელიც მხოლოდ დრო-გამოშვებით ჩნდება, თანდათან ხდება მუდმივი სტუმარი... ჩვენ ვაჩნევთ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ეპიდემიურ ავადმყოფობათა მუდმივ მორიგებას. წლის ყოველ დროს თან ახლავს თავისი სეზონის ავადმყოფმა (ზამთრობით ტიფი, ყვავილი, ზაფხულობით—მუცლის სახადი, ხოლერა და სხვა) მიმდინარე წელში არახელსაყრელ პირობების და ლტოლვილთა შეჯგუფების (ბათუმში) გამო პარტახტიან სახადს აქვს ადგილი ზაფხულობითაც.

იმ არა სრულ ცნობების თანახმად, რომელიც ჩვენ განკარგულებაშია, გასულ წელს მწვავე—გადამდები ავადმყოფობა რესპუბლიკაში იყო დაახლოვებით—180,000. ამ რიცხვში არ შევიდა მალიარიით სნეულთა დიდი ნაწილი (პირველადი), რომელნიც საგრძნობ ციფრს აღწევს, დაახლოვებით 300,000 კაცს. ა. წ. პირველი 4 თვის განმავლობაში მწვავე გადამდებ ავადმყოფობათა რიცხვი აღემატება 10,000 კაცს.

ყველაფერ ამას არ შეეძლო განმანადგურებელი გავლენა არ მოეხდინა მცხოვრებლებზე.

ჩვენ განკარგულებაში მყოფ ცნობები (სამწუხაროთ ეს ცნობები არ არის სრული და მხოლოდ შემთხვევითია, მაგრამ მაინც ღირსშესანიშნავია) მოწმობენ მცხოვრებთა მატების შეუჩერებელ შემცირებას.

ქ. ტფილისში, თელავში და ახალციხის მაზრაში 1910 წელს დაიბადა 10,117 კაცი, მოკვდა 6,551 კ., მოემატა 3,566 კაცი.

იგივე ცნობები 1922 წლის პირველ 3 თვისათვის იძლევა შემდეგ სურათს. დაიბადა 1,044 კაცი, მოკვდა 1,665 კ., მოაკლდა 621 კაცი.

ეს ციფრები—**ხალხის გადაშენების საშიში ნიშანია,** მაჩვენებელია იმისა, რომ საფრთხე მოელის მცხოვრებთა თვით ფიზიკურ არსებობას.

ამას უნდა მიაქციონ ყურადღება ყველამ, ჩვენზე მომდგარ კატასტროფის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული საჭირო და ჩვენთვის მოსანდომი ზომები.

ჩვეულებრივად, ჯანმრთელობის საქმე არ იპყრობს იმდენ ყურადღებას, რამდენიც მას ესაჭიროება, და რომელსაც აქცევენ, მაგალითად, სამეურნეო ორგანოების მოქმედებას.

დადგა მომენტი, როდესაც ამას ბოლო უნდა მოეღოს, როდესაც ჯანმრთელობის საკითხები, საექიმო დახმარება და განსაკუთრებით, წინასწარ ღონისძიებათა მიღება—საბჭოთა მედიცინის საფუძველნი—უნდა იპყრობდეს მშრომელთა, მუშების და გლეხების ფართო მასების ყურადღებას და უნდა გახდეს მათი შეუწყვეტელი ზრუნვის და ყურადღების საგნათ. ყველა საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებებმა და მუშათა ორგანიზაციებმა უნდა დასვან დღის წესრიგში საკითხი, ჯანმრთელობის საქმისათვის აქტიური დახმარების ღონისძიების შესახებ, და უნდა იჩენდენ ამ სფეროში ინიციატივას და სიმტკიცეს, რომლის წყალობითაც ჩვენ არა ერთხელ გამოვსულვართ სიკვდილის საშიშროებისაგან.

სახელმწიფოს თავის ხელმძღვანელ ორგანოთა სახით, არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ამ საკითხს. ის მთელი თავისი მძლავრი აპარატით და საშუალებით უნდა დაეხმაროს ამ საქმეს. და ის ამას იზამს.

მაგრამ არა ნაკლები ამოცანები ეკისრება ჩვენ ადგილობრივ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გაუხსნა მათ ფართო ასპარეზი შემოქმედებითი ინიციატივის გამოსაჩენად ცხოვრების ყოველ სფეროში. იმათი მოვალეობაა აიძულოს ახალი ეკონომიური პოლიტიკა ემსახუროს მუშათა კლასს, კერძოთ ჯანმრთელობის საქმეს. და უნდა ჩააბან თვით მუშათა კლასი და გლეხობა საღმშენებლო მუშაობის პროცესში.

უადგილობის გამო აღარ შეუდგებით ჯანმრთელობის საქმისათვის დახმარების შესაძლებელ საშუალებათა კონკრეტიულად ჩამოთვლას (ამაზე შემდეგ). ჩვენ მოუწოდებთ ყველას სერიოზულად დასვან დღის წესრიგში და გადასწყვიტონ საექიმო დახმარების მტკივნეული საკითხი, რათა ვიხსნათ ხალხი ფიზიკური გადაშენებისაგან. უამისოდ შეუძლებელია მომენტის მთავარი ამოცანის მიხწევა—ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო აღდგენა.

გრ. კუჭაიძე.

ესერების პროცესი

ესერების სამხედრო მუშაობა

მოსკოვი. 6 ივლისი (რადიო) (დასაწყისი არ არის მიღებული)... გარდა იმ მნიშვნელოვანი თანხებისა, რომელიც შემოვიდა ესერების პარტიის ცეკასგან, გერმანია იღებდა ფულებს დენიკინელებისაგან, კოლჩაკისაგან და მოკავშირეთაგან. ამ მიზნით იგი გაემგზავრა ოდესასა და ყუბანში. კომისია ანგარიშს უდგენდა პარტიის ცეკას და აღორძინების კავშირის განყოფილებას, რომლის წარმომადგენლებიც შედიოდენ კომისიაში. ანგარიშებს ჰქონდათ ნამდვილი შარლატანური ხასიათი. სამხედრო კომისიის ამ გვარმა წესრიგმა გამოიწვია მის ჩვეულებრივ წევრებს შორის აღშფოთება და მასიური გამოსვლა კომისიიდან.

მოწმე გელფგოტის ჩვენება.

მოსმენილ იქნა დამცველების მოწმის გელფგოტის ჩვენება, რომელიც მოუთხრობს სასამართლოს როსტოვში გრიგოლ რატნერისა და ევგენია რატნერის ყოფნის შესახებ, რომელთა შორისაც თავი იჩინა განხეთქილებამ. გრიგოლ რატნერი, რომელიც წარმომადგენელი იყო ცეკასი, მომხრე იყო ყოველგვარად და სავსებით დახმარებისა ყველა იმ ძალებისა, განურჩევლად პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელნიც ებრძოდენ ბოლშევიკებს. ევგენია რატნერი ოფიციალურად ჩაეწერა მოხალისეთა არმიაში.

მოწმე ამბობს, რომ როდესაც ნათლად გამოირკვა გენერალ კრასნოვის შავრაზმული ფიზიონომია, ესერებმა მიიღეს მისი საწინააღმდეგო რეზოლიუცია, მაგრამ არ შესდგომიან შეიარაღებულ ბრძოლას, რადგანაც მხედველობაში მიღებული იყო საერთო მდგომარეობა და ესერების ორგანიზაციის ლეგალობა.

წინააღმდეგობანი

ბრალმდებელი კრილენკო აშკარავებს ორ წინააღმდეგობას მოწმის ჩვენებაში. მოწმე ამტკიცებს, რომ გაზეთი „როდნოი კრაი“ იყო უპარტიო მიმართულების. მაგრამ კრილენკომ ჩამოსთვალა გაზეთის ყველა თანამშრომლები და მათ შორის რედაქტორიც, რომელნიც პარტიული ესერები იყვნენ. მოწმე ამბობს, რომ ესერები უარყოფითად უყურებდენ მოხალისეთა არმიას, ამავე დროს კი ესევე გაზეთი ესერების უახლოესი და პირდაპირი მონაწილეობით, ქებადიდებას უძღვნიდა მოხალისეთა არმიას.

მოწმე რაფესი

5 ივლისის დილის სხდომაზე გძელდება გამორკვევა უკრაინის პერიოდის მუშაობისა. დაკითხულ იქნა მოწმე რაფესი, რომელიც იძლევა ნათელ სურათს ესერების პოლიტიკური თვალთმაქცობისას, რომელნიც უთანხმდებოდენ ყველას, ხელისუფლების სათავეში მყოფთ. კიევში 1917 წლის ოქტომბრიდან 1919 წლის იანვრამდე მთავრობები იცვლებოდა ისე, როგორც კალეიდოსკოპში. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ხელისუფლება მიიღო უკრაინის რადამ, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ კიევში მყოფ ესერებს, რომელნიც რამოდენიმე დღის უკან მოითხოვდენ შეიარაღებულ ბრძოლას რადის წინააღმდეგ,—დაეწყოთ უკან დახევა. ამის გამო, კომპენსაციის სახით, რადამ ნება დართო ესერებს მთელ უკრაინაში მოეგროვებიათ მოხალისეთა ველიკორუსული რაზმები, რომელთაც აგზავნიდენ აღმოსავლეთისკენ. სხვა რაზმებთა შორის აღმოსავლეთისკენ გაიგზავნა კიევის პროპორშჩიკების სკოლა. როდესაც უკრაინის მთავრობამ საბჭოთა დელეგაციის ზურგს უკან დადო სეპარატიული ხელშეკრულება გერმანიასთან ბრესტში, ესერები მხარს უჭერდნენ ამ ზავს და უკრაინის დელეგაციას სრული ნდობა გამოუცხადეს. როდესაც მათში კიევში დაარსდა ახალი რადა გერმანულ-უკრაინულ ესერებმა არ დაიჭირეს მტრული პოზიცია (გამოტოვებულია). გერმანელებთან საბრძოლველად, რომელნიც იყვნენ ფაქტიური მბრძანებლები. ჩუმად აგროვებდნენ და აწყობდნენ რაზმებს ბოლშევიკებთან საბრძოლველად, რასაც პასიურად მფარველობდა რადა. გეტმანობის დროს ესერები არც სკოროპადსკისთან და არც გერმანელ საოკუპაციო ჯარებთან ბრძოლას არ აწარმოებდნენ და მუშაობდნენ გეტმანის მთავრობასთან შეთანხმებული. როდესაც გერმანიის რევოლიუციის შემდეგ სკოროპადსკიმ იცნო რუსეთის ერთ მთავრობად დენიკინის მთავრობა, რითაც გააუქმა უკრაინის დამოუკიდებლობა, რამაც მასიური მოძრაობა გამოიწვია უკრაინაში, ამ დროს კიევში ხდებოდა ყრილობები მუშათა ცენტრისა და დემოკრატიული ცენტრისა.

ესერები მუშათა ცენტრში წინააღმდეგნი იყვნენ გაფიცვის გამოცხადებისა. გაფიცვა გამოცხადდა ყველა ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ ესერებისა. დემოკრატიულ ცენტრში დამფუძნებელი კრების წევრები, ესერები კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ გეტმანის ხელისუფლებასთან ბრძოლისა. პეტლიურა ესერებს, რომლებიც სკოროპადსკის იცავდნენ, უყურებდა ისე, როგორც თავის მტრებს. კიევში დახურულ იქნა ესერული გაზეთები. ოდესაში მყოფ საფრანგეთის კონსულმა აღუთქვა დახმარება პეტლიურას ბოლშევიკებთან ბრძოლაში იმ პირობით, თუ უკრაინა იცნობდა თავის ტერიტორიაზე რუსეთის დამფუძნებელი კრების ხელისუფლებას. და ამ რიგათ პეტლიურას მიერ ფრანგების დახმარებით ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება საკმარისი იყო იმისთვის, რომ ესერები შერიგებოდენ პეტლიურას. 1919 წელს კიევში სოციალისტურ პარტიების კონგრესზე ესერები იცავდენ უკრაინის დირექტორიას და მოითხოვდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას ანტანტის დახმარებით. თავისი ძალებით ამ გეგმას განხორციელება ესერებს არ შეეძლოთ, ვინაიდან კიევი ჩქარა აღებულ იქნა საბჭოთა ჯარებისაგან.

ივანოვის ჩვენება

რაფესის შემდეგ ჩვენებას იძლევა დამცველთა მოწმე ივანოვი, ესერების პარტიის ცეკას წევრი. ივანოვი სულ სხვა გვარათ ასურათებს ესერების მუშაობას უკრაინაში. მაგრამ იგი ერთგვარათ მაინც ადასტურებს იმას, რომ რადას ესერები სავსებით უჭერდენ მხარს. ესერების პარტიის ფრაქციამ რიხტერის თანადასწრებით ხმა მისცა ბრესტში მიმავალ დელეგაციისათვის სეპარატიული ხელშეკრულების დადების რწმუნებას. მხოლოდ 1 თვის შემდეგ პარტიის ცეკამ აცნობა საოლქო კომიტეტს, რომ იგი წინააღმდეგია ამ დადგენილების.

ივანოვი ამტკიცებს, რომ ესერები გერმანელებთან საოცარ მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ. ესერებს არ ქონებიათ ცდა გეტმანისა და გერმანელების დამხობისათვის, რადგანაც თავისი ძალები მათთან აშკარა ბრძოლისათვის არ მიაჩნდათ საკმაოდ და ურჩევდენ გლეხობას უარი ეთქვათ ყოველგვარ შეიარაღებულ გამოსვლაზე.

პიატაკოვის შეკითხვაზე ივანოვი აღნიშნავს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ გერმანელებმა აიღეს კიევი და განაგრძობდენ შეტევას, ესერები გერმანელების ზურგში არ აწარმოებდენ მათთვის ხელშემშლელ მუშაობას.

ეხება რა ესერების პარტიის შეთანხმებას პეტლიურასთან ივანოვი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ამ გარემოებას: „ეს შეთანხმება აღნიშნულია საოლქო კომიტეტის დადგენილებაში: „იარონ ცალცალკე, იბრძოლონ კი ერთად“. ივანოვი კატეგორიულად უარყოფს მოკავშირეებთან ურთიერთობისა და ფულების მიღების ფაქტს. იგი აგრეთვე უარყოფს დენიკინთან და ალექსეევთან კავშირს. ივანოვი, ეხება რა ესერების დენიკინისადმი დამოკიდებულებას, მოუთხრობს სასამართლოს ერთ შემთხვევას ესერ რიაბცოვის შესახებ, რომელმაც ქალაქის თავად ყოფნის დროს დენიკინის კიევში შესვლისას მისასალმებელი სიტყვით მიმართა მას, რის გამოც რიაბცოვი გამორიცხულ იქნა პარტიიდან.

რადიო-დეპეშები

გერმანიის ამბები

მანიფესტაციები ბერლინში.

ნაუენი, 5 ივლისი (რადიო). რესპუბლიკანელების მანიფესტაცია ბერლინში დაიწყო დღით 4 ივლისს და ჩატარდა მშვიდობიანად. მანიფესტანტები სრულის წესრიგით და დიდი რაოდენობით მიდიოდენ კრების ადგილზე. მაღაზიების და კანტორების ნაწილი გაღებული იყო და მუშაობდა. მანიფესტაციის დასრულების შემდეგ ქალაქში მოძრაობა აღდგენილ იქნა.

გარდენზე თავდაცემის გამო

ნაუენი, 5 ივლისი (რადიო). პოლიციის კვლევა-ძიებამ დაამტკიცა, რომ მაქს გარდენის თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 9 კაცი. თავდამსხმელები ეკუთვნიან იმავე წრეს, რომელსაც ეკუთვნოდენ რატენაუს მკვლელები.

მოიგონეს.

ნაუენი, 5 ივლისი (რადიო). ბერლინის სამუნიციპალო საბჭომ მიიღო სოციალისტების წინადადება, ყველა საზოგადოებრივ ადგილებიდან ჰოგენცოლერნების სურათების ჩამოხსნის შესახებ, რომელიც დღემდის იქნებოდა.

გერმანიის ჯანმრთელობა.

ნაუენი, 5 ივლისი (რადიო) მაქს გარდენის ჭრილობები არ არის საშიში. თავდამსხმელთა შორის არის არმიის ყოფილი ლეიტენანტი. თავდამსხმელები მოქმედებდნენ საიდუმლო საზოგადოების ბრძანებით.

არეულობა მაგდებურგში და კელნში.

კრაუდენი, 3 ივლისი (რადიო). მაგდებურგში პოლიციამ მოიგერია შეიარაღებულ ჯგუფის თავდასხმა, რომელიც სცდილობდა ხელში ჩაეგდო შესანახი კასსა. მოხდა მრავალი დაპატიმრებანი. კელნში პოლიციამ გაფანტა მანიფესტები, რომელიც ანადგურებდენ ქანდაკებებს ჰოგენცოლერების ხიდზე.

საფრანგეთის ზრახვანი

ნაუენი. 6 ივლისი. დამტკიცებულია, რომ საფრანგეთის მთავრობა მიუნხენში მყოფ თავისი ელჩის საშუალებით დაუკავშირდა ბარონ ლიპრეხტენს კატოლიკურ მონარქიის დაარსების შესახებ, რომელშიაც უნდა შესულიყვნენ ავსტრია, ბავარია და რეინლანდი. ამ მონარქიას უნდა ეარსებებია საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ. **გერმანიის სასამართლომ გადაუწყვიტა ბარონ ლიპრეხტენს მთელი სიცოცხლეში იძულებითი მუშაობა გერმანიის ღალატისათვის.**

გერმანია და საფრანგეთი

ნაუენი. 6 ივლისი. (რადიო). პარიზში ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ დირემ განაცხადა ბანკეტზე: „შესაძლებელია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ შუა ევროპაში შესდგეს გერმანიისა და რომელიც გაერთიანებული იქნება ავსტრიასთან, და დარჩეს უძლიერესი მონარქია მსოფლიოში, რომელთანაც რუსეთს კავშირი ექნება და რომლის ხელში საფრანგეთი გადაიქცევა სათამაშოდ. დირე დაბეჯითებით ითხოვდა გერმანიისაგან კონტრიბუციის სრულებით გადახდას და მოითხოვდა, რომ მოკავშირეებმა ადრე გადასწყვიტონ საკითხი გერმანიის ვალების შესახებ. პუანკარემ მადლობა გამოუცხადა დირეს მისი სიტყვისთვის და იმ დახმარებისთვის, რომელიც მან გაუწია საფრანგეთს ომის დროს და განაცხადა, რომ საფრანგეთს სურს მხოლოდ კონტრიბუციის მიღება და საზღვრების უცვლელად დატოვება.

ებერტის წასვლა.

ნაუენი. ივლისი რადიო. პრეზიდენტი ებერტი კვლავ გაემგზავრა ბერლინიდან შვარცვალდში, რადგანაც მისი **ჯანმრთელობა** ძლიერ შერყეულია.

მანიფესტაციები ბერლინში.

ნაუენი. 6 ივლისი რადიო. ბერლინში სამშაბათის მანიფესტაციების შესახებ „ტაიმსი“ წერს, რომ მანიფესტაციამ დაამტკიცა, რომ გერმანიის ხალხის უმრავლესობა მომხრეა რესპუბლიკის და გაიღვიძა რატენაუს მოკვლის შემდეგ აპატიისაგან. ამის ამტკიცებს ის, რომ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 1 მილიონამდე კაცმა.

საბაჟო ტარიფების გადიდება.

ზორდი. 6 ივლისი (რადიო). გერმანიის მთავრობამ გაადიდა საბაჟო ტარიფები 5,9 პროც.-დან 6,4 პროცენტამდე.

დიდი ხანია დრო იყო.

ზორდი. 6 ივლისი (რადიო). ლიუბეკში მუნიციპალურ საბჭოს სხდომის დროს სოციალისტებმა გაანადგურეს მოლტკესა და ბისმარკის ბიუსტები.

ჰააგის თათბირი

კერძო საკუთრების კომისიაში.

კრაუდენი. 5 ივლისი. (რადიო). სამშაბათს, კერძო საკუთრების კომისიის სხდომაზე, რუსეთის დელეგაციის თანდასწრებით, თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ ცნობების მიწოდების სიძნელეს, რომელსაც თხოულობდა საბჭოთა დელეგაცია.

წითელ რესპუბლიკებში

ჩრდილოეთი კავკასია.

ყაბარდა.

მოსავალი. ყაბარდოს ავტონომიურ ოლქის შინაგან მმართველობის განყოფილების გამგე ამხ. ვესლანეევი იუწყება, რომ წელს მოსავალი კარგია. სოფლებში და „აულებში“ ამ მხრით მშვიდობიანობაა, სოფლელებს აწუხებს მხოლოდ მუშა საქონლის

ბრძოლა სიმშილობასთან

საჩხერე.
(დეპეშა)

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს, ასლი ბათომის ფოთის და შორაპნის მაზრის დამხმარე კომიტეტებს.

მდგომარეობა გართულდა, სიმშილის მსხვერპლი მატულობს, ხალხი ღელავს. ერთმანეთს ეცემა დღით აშკარათ. საჩხერის აღმასკომის დავალებით უკანასკნელად გთხოვთ გამოგვიყვანოთ სიმშილის კლანჭებიდან. რაღას უცდით, მოგვეშველეთ თუ რამე გაქვთ, ველით პასუხს.

საჩხერის აღმასკომის თავმჯდომარე
კაპანაძე

უყოლობა. იწყება სასურსათო გადასახადის კომპანია.

საბჭოთა ხელის უფლების ყველა განკარგულებებით გლეხები კმაყოფილი არიან და თხოულობენ მხოლოდ ხშირათ განუმარტონ მათ საკითხები საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, რისთვისაც საჭიროა ისეთი პირების გაგზავნა, რომელთაც იციან ყაბარდული ენა, იწყება პურის გაჭრა. სასოფლო საძოვრებზე ემჩნევა ბალახის იშვიათი მოსავალი. ამ საძოვრებზე გაშვებული საქონელმა წონაში ერთი ორად მოიმატა.

შიმშილობა. ოლქებში შიმშილობა ჯერ კიდევ არ მოსპობილა, მაგრამ აღარ აქვთ წინანდელი სტიქიური ხასიათი, როგორც ამ რამდენიმე თვის წინათ. საურთიერთო დახმარება არ არის მოგვარებული. ხშირად დამშეულებს აგზავნიან ნალჩიკში, მაგრამ ქალაქსაც არ შეუძლია აღმოუჩინოს მათ დახმარება.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი

მუშათა პარტიაში.

ნაუენი. 5 ივლ. (რადიო). ლონდონის ერთ ერთ სოციალისტურ გაზეთში, გამოქვეყნებულია პროგრამა მუშათა პარტიისა კაბინეტის მომავალი არჩევნებისათვის. პროგრამაში აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის ცნობა, ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა, მაღაროებისა და რკინის გზების ნაციონალიზაცია და საერთო განიარაღება.

ლიტვის ცნობის შესახებ.

ნაუენი. 5 ივლ. (რადიო). გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ ეხება ელჩების კონფერენციის გადაწყვეტილებას ლიტვის ცნობის შესახებ და სწერს, რომ ინგლისისა და იტალიის მთავრობები უკვე დიდი ხანია, მომხრენი იყვნენ ლიტვის ცნობისა, მაგრამ მათ საქმეს უჭივრებდა საფრანგეთ-პოლონეთის ოპოზიცია.

მემელის ბედი.

ნაუენი. 5 ივლ. (რადიო). ელჩთა კონფერენციამ დაადგინა, დაარსოს განსაკუთრებული კომისია მემელის ბედის გამოსარკვევად. ვერსალის ხელშეკრულების მე-90 და 99 მუხლების თანახმად გერმანიამ უარი სთქვა ამ ნავთსადგურებზე თავის უფლებებზე და თანხმობა განაცხადა იცნოს ყველა დადგენილებანი მოკავშირე სახელმწიფოებისა, ამ ნავთსადგურის ბედის შესახებ.

ამერიკა

რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ.

ნაუენი. 5 ივლისი. (რადიო). ამერიკის შეერთებული შტატების რკინის გზელთა კომპანიამ გამოაცხადა, რომ მიუხედავად სამმართველოს მოსამსახურეების გაფიცვისა როგორც სამგზავრო, ისე საბარგო მატარებლების მოძრაობა შეჩერებული არ იქნება მეორეს მხრივ გაფიცვის ხელმძღვანელები სულ წინააღმდეგში არიან დარწმუნებულნი.

ავსტრალია

წყნარ ოკეანეს მუშათა კონფერენცია.

ნაუენი. 5 ივლისი. (რადიო) ავსტრალიის მუშათა პარტიის კონგრესმა დაადგინა, შექმნას კომისია, რომელიც შეუდგება სამზადისს წყნარ-ოკეანეს მახლობლად მყოფ სახელმწიფოთა მუშათა კონფერენციის მოსაწვევად; კონფერენციაზე უნდა განიხილონ მთელი რიგი საკითხებისა, რომელნიც ამ ქვეყნებს ეხება. კონფერენცია მოწვეული იქნება მომავალ წელში, როდესაც გაიმართება წყნარ-ოკეანეს მეცნიერთა კონგრესის სხდომები.

ქალთა შრომის წინააღმდეგ.

ნაუენი. 5 ივლისი. (რადიო). ომის ინვალიდებმა და ვეტერანებმა, რომელნიც მუშაობენ გენუის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, მოითხოვეს ქალების დათხოვნა და მათ ადგილას სამსახურში ინვალიდების მიღება. განყოფილების უფროსმა აღუთქვა მათ, რომ იგი ამ მოთხოვნილებას აცნობებს მთავრობას.

აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთის ეკონომიური კავშირი.

ანგორა. 30 ივნისი. გაზ. „ენი-გიუნი“ მოწინავე წერილში „აღმოსავლეთის ეკონომიური კავშირი“, შემდეგსა სწერს: „ვერც გენუაში და ვერც ჰააგაში რუსეთი, რომელიც რევოლიუციის ავანგარდია, ვერ შესძლებს დამაკმაყოფილებელი შეთანხმება შეკრას დასავლეთთან. ჩვენ მომხრენი ვართ ევროპასთან სერიოზული შეთანხმებისა. მაგრამ რომ ევროპა ვაიძულოთ შეთანხმებაზე, უნდა შევქმნათ აღმოსავლეთის ხალხები ეკონომიური მთლიანი ფრონტი. მხოლოდ ამას შეუძლია გამოიყვანოს ევროპა და მთელი ქვეყანაც არსებულ გამოუვალ მდგომარეობიდან. აუცილებელია აღმოსავლეთ ხალხების კონფერენციის მოწვევა, რათა შესაძლებელი გახდეს მთლიანი ეკონომიური ფრონტის შექმნა.

ამერიკულ დამხმარე კომიტეტის მუშაობა.

ანგორა. 27 ივნისი. ამერიკულ დამხმარე კომიტეტმა გახსნა კაისარიაში თავშესაფარი 50 ბავშვისათვის.

გერმანია

საკონტრიბუციო კომისიაში.

კრაუდენი. 5 ივლისი. (რადიო). საკონტრიბუციო კომისიამ მიმართა ვალების საქმეთა კომისიას აკრძალვით. საბჭოთა მთავრობისათვის 400 მილ. მარკის მიცემის შესახებ. (საკრედიტო ბილეთებით), რომელიც უკრაინამ შეინახა ბერლინის ბანკში.

საფრანგეთი

სხვის ხარჯზე.

კრაუდენი. 5 ივლისი. (რადიო). სამშაბათს მინისტრთა საბჭომ დაადგინა, გადასცეს საკონტრიბუციო კომისიას საფრანგეთის აღმადგენელ მუშაობის პროგრამა, რომელიც უნდა აღასრულოს გერმანიამ.

როდის მოხდება ეს?

კრაუდენი. 5 ივლისი. (რადიო). სამშაბათს შეიარაღების შემცირების კომისიაში, რომელიც შეიკრიბა პარიზში, ვივიანის თავმჯდომარეობით, რობერტ სესილმა წარადგინა პროექტი განიარაღების დაჩქარების შესახებ. განიარაღება იქნება გარანტია საერთო თავდაცვის კავშირის მოწყობის დროს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სამეგრელო

საბჭოთა აღმშენებლობა. სამეგრელოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების დღიდან მისი ავტორიტეტი ადგილობრივ მცხოვრებლების თვალში დღითი დღე იზრდება. გლეხებს ღრმათ სწამთ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შესწევს მათი ინტერესების დაცვის უნარი. რეზოლიუციები, რომელნიც გამოაქვთ მიტინგებზე სხვა და სხვა კამპანიების დროს, მოწმობენ, რომ გლეხების მთელი თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის მხარეზეა, განსაკუთრებით ნათლად დაგვანახვა ეს უკანასკნელმა არჩევნებმა ადგილობრივ საბჭოებში.

ახალ-სენაკის მაზრა.

სამასწავლებლო კურსები. ახალსენაკში იხსნება ექვსკვირიანი სამასწავლებლო კურსები. თვალსაჩინო ადგილი პროგრამაში უკავია შრომის შკოლას. პროგრამაში შედის აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიური და საბჭოთა აღმშენებლობა. სტიპენდიანტად მიღებული არიან 40 მსმენელი.

პარტიული ცხოვრება. რაიონულ კომიტეტების პასუხისმგებელ მდივნების მოხსენებებიდან პარტიულ თათბირზე გამოირკვია, რომ უკანასკნელ დროს იაჩეიკებში მუშაობის ინტენსივობამ იკლო. მიზეზი—იმ გლეხების საგაზაფხულო და საზაფხულო საყანე მუშაობაა, რომელნიც შეადგენენ იაჩეიკების მთავარ კონტინგენტს. კომპარტიის კომუნისტურ ახალგაზრდობასთან დაახლოვების კამპანია წარმატებით ჩატარდა. ჯერ კიდევ ყველა იაჩეიკები არ არიან დაკმაყოფილებულნი გაზეთებით. საწევრო გადასახადი შემოტანილია. პარტიულ მასის განწყობილება ძალიან კარგია. სამაზრო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბედიამ ადგილებიდან მოხსენებების გათავების შემდეგ ინსტრუქცია მიაწოდა პარტიულ აღმშენებლობის ყველა ნაკლულოვანებათა გამო.

ახალციხის მაზრა.

სამკითხველო ქოხები. საყანე მუშაობის შემდეგ მაზრის ყველა მსხვილ ცენტრებში განზრახულია სამკითხველო-ქოხების მოწყობა. კომპანიამ, რომელიც ჩაატარა სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა გაზეთებზე ხელის მოწერის შესახებ, მოაწყო ხელის მოწერა აწყურის რაიონის 18 სოფელში. სხვა რაიონებიდან ჯერჯერობით ცნობები არ მოსულა.

მონოპოლია ნავთზე. როგორც ვიცით სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობ მასალათა განყოფილებას მიენიჭა სამონოპოლიო უფლება მთელ რესპუბლიკაში ნავთის გაყიდვისათვის. ახალციხის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა მისთვის ეს უფლების გადაცემის შესახებ ახალციხის მაზრაში. სათბობ მასალათა განყოფილებამ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ხელშეკრულების დასადებად გაგზავნილია სათბობ მასალათა განყოფილების გამგის თანაშემწე. აღმასკომს განზრახული აქვს გახსნას მაზრის მნიშვნელოვან პუნქტებში ნავთის საწყობები, რათა საშუალება მიეცეს მცხოვრებთ იაფ ფასებში შეიძინონ ნავთი.

წყალსადენის აღდგენა. აღმასკომის ეკონომიური განყოფილება იღებს ზომებს მთავარ წყალსადენის არხის რემონტისა და გაწმენდისათვის, რომელიც აწვდის ქალაქს წყალს წყაროებიდან. წყაროები დაშორებულია ქალაქიდან 12 ვერსით. არხის დანგრევა ხშირად იწვევდა წყლის შეჩერებას და ავსებდა მას ტალახით. შეკეთებაშია აგრეთვე მარდინის წყლის სისტემა, რომელიც უმთავრესად რწყავს ბოსტნებს და ბაღებს.

კინო-თეატრის ექსპლოატაცია. სამაზრო პოლიტიკურ განათლების სამმართველოს შუამდგომლობით სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასცა მას საექსპლოატაციოდ ახალციხის კინო თეატრი. პირველი შემოსავალი განზრახულია მოხმარდეს სოფლებში და ქალაქებში სამკითხველოების გახსნას.

პარტ. ცხოვრება. რაიკომების მდივნების და ორგანიზატორების უკანასკნელმა თათბირმა, რომელიც მოიწვია პარტიის სამაზრო კომიტეტმა, გამოაშკარავა დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენს გლეხობა კომუნისტური პარტიისადმი და პარტიის გავლენის ზრდა.

რაიონულმა კომიტეტმა მოახერხა თანამშრომლობით 19 იაჩეიკის დაარსება 350 მდე წევრთა საერთო რიცხვით უღარიბეს გლეხებიდან. ბანდიტიზმის უკანასკნელმა თავხედურმა მოქმედებამ, რომელმაც მახვილი ჩასცა ღარიბი გლეხების მეურნეობას და ბანდიტიზმთან საბრძოლველად სამაზრო აღმასკომის მიერ მოწყობილმა კამპანიამ საგრძნობლად ასწია ხელისუფლების ავტორიტეტი. პარტიის რაიონული კომიტეტის ინიციატივით ურაველის რაიონში ყველა იაჩეიკები შეიარაღდენ და მილიციასთან ერთად გამოვიდენ ბანტიზმის წინააღმდეგ, რითაც თავს აარიდეს მოსახლეობას დიდი საფრთხე. დამშეულთა დასახმარებლად საერთო მასალის დიდი რაოდენობით დარიგებამ საშუალება მისცა პარტიას აღმოეფხვრა გლეხურ მასაში სხვა პარტიებისადმი ნდობის უკანასკნელი ნაშთები. ამ ჟამად უღარიბესი ნაწილი მცხოვრებლებისა იაჩეიკაში უფრო ხალისიანად მიდის, ვიდრე ოდესმე, რადგანაც ცოტცოტაობით იწყებს იმ ბეგების წინაშე შიშისაგან განთავისუფლება; ბეგები ყოველივე ღონისძიებას მიმართავდენ, რათა ხელი შეეშალათ ამ იაჩეიკების გაძლიერებისთვის. იაჩეიკის მიერ წარმოებული მუშაობა ხელს უწყობს გლეხების პოლიტიკურ ცხოვრებისადმი დაინტერესების საქმეს. პარტიის სამაზრო კომიტეტი იმუშავებს მთავარ პუნქტებში სამკითხველოების მოწყობის და მათთვის რეგულიარულად გაზეთების და ლიტერატურის მიწოდების პროექტს. სოფელში უკანასკნელად ჩატარებულმა კამპანიებმა დაამტკიცა, რომ სოფელი დაინტერესებულია ცენტრის ცოცხალ სიტყვაში. ადიუგენში მიტინგზე ჩამოვიდენ გლეხები 30 ვერსის მანძილზე მდებარე სოფლებიდან რიცხვით 3000-მდე. მუსლიმან ქალებს შორის მუშაობა, რომელიც არ სწარმოებდა ენის მცოდნე ინსტრუქტორების სიმცირის გამო, ეხლახან იწყებს გამოცოცხლებას ახალი ინსტრუქტორის ჩამოსვლის შემდეგ. განზრახულია ჯერჯერობით მუშაობის ჩატარება აწყურის რაიონში, რომელიც არის უძლიერესი პარტიული ძალა ორგანიზაციულად მოწყობილი. მუსლიმანი ქალები დიდ ინტერესს იჩენენ ახალი მისწრაფებისადმი, მაგრამ ვერც ისე იოლად თავისუფლდებიან თავიანთ უძველეს ცრუმორწმუნეობისაგან. განსაკუთრებით ხელს უშლიან სოფლად პარტიულ მუშაობას მოლები და ბეგები.

აფხაზეთი

პროფკავშირთა საბჭოში. აფხაზეთის ყველა პროფკავშირების პასუხისმგებელ მდივნების თათბირის უკანასკნელ სხდომაზე იქნა აღნიშნული თავისუფალ წევრობის კამპანიის დამაკმაყოფილებლობა, მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირთა საბჭოს განყოფილების ორგანოებს არ მოეპოვებოდათ მასალები ცენტრისათვის, რომლებიც მიღებულ იქნა მხოლოდ კამპანიის დასრულების შემდეგ, კავშირების გაწმენდა კარგად მიმდინარეობს, მაგრამ გაჭიანურდა. მომავალში მოხდება ადგილობრივ კომიტეტებისა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ხელახალი არჩევნები. ყოფილი ადგილობრივი და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები არ იყვნენ დაახლოვებული მუშებთან და ვერ იზიდავდენ მუშების მასას პროფესიონალურ ცხოვრებაში. დადგენილია გამოსწორდეს ყველა ეს დეფექტები მომავალ არჩევნების დროს, რისთვისაც საჭიროა წინასწარი მუშაობა ყველა კავშირებში. დაადგინეს მიიღონ დაუყონებლივ გადამჭრელი ზომები პროფკავშირების დასაახლოვებლად და გაატარონ ადგილობრივ მთელი რიგი ორგანიზაციულ მუშაობისა, უკანასკნელის კავშირის სისუსტის გამო, კავშირებთან და ცენტრალურ გამგეობასთან თბილისში დაუყონებლივ გაიგზავნა ყველა კავშირებიდან წარმომადგენელი გუდაუთის და გაგრის მაზრებში, საკავშირო მუშაობის გასატარებლად. ცენტრალურ გამგეობასთან კავშირის აღსადგენად გადაწყდა მიიღონ ყოველივე ზომები, მიიღონ ცირკულიარები და ლიტერატურა სახელმძღვანელოდ, ხოლო ზოგიერთ კავშირებისათვის—მატერიალური დახმარება. უკანასკნელ ცირკულიარების თანახმად, დაადგინეს არჩევნების დროს ადგილობრივ და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებში წევრებად შეიყვანონ ქალები, ჩააბან ისინი შრომის დაცვის კომისიის და კულტურულ განმანათლებელ განყოფილების მუშაობაში. დაადგინეს მიმართონ პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს თხოვნით—გაუმჯობესებულ იქნეს კავშირის ავადმყოფ წევრთათვის სამკურნალო დახმარების საქმე.

თესვის კამპანია. სამურზაყანოს მაზრის პარტკომის და აღმასკომის გაერთიანებულ კრებაზე დაადგინეს გასცენ მიწადმოქმედების განყოფილების განკარგულებაში 10.000 ფ. სიმინდი, მაზრის უღარიბეს მცხოვრებთათვის დასარიგებლად, რომელთაც ესაჭიროებათ სათესი მასალები

აფხაზეთის სტიპენდიანტები. თბილისიდან დაბრუნდნენ საზაფხულო არდადეგებზე აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სტიპენდიაზე მყოფი სტუდენტები. წასულ წელში რევკომმა გასცა სტუდენტებისათვის 2,000 ფ. თამბაქო და ჩარიცხა სტიპენდიაზე 106 კაცი. ფაქტიურად სწავლობდნენ 97 კაც.—თითქმის ყველა აფხაზეთის მცხოვრებლები. სამოსწავლო წლის რვა თვის განმავლობაში თითეულმა სტიპენდიანტში მიიღო 24 მილ. მან. სტუდენტები ორგანიზაციულად სცხოვრობდნენ, ჰყავდათ ამორჩეული გამგეობა, რომელიც ანაწილებდა სტიპენდიებს, თვალყურს ადევნებდა მათ ლექციებზე დასწრებას და სხვა. ურთიერთის დამხმარე კასამ გადააბრუნა 102 მილ. მანეთის თანხა და დააკმაყოფილა 68 კაცის მოთხოვილება, ამავე დროს თავის ხარჯზე [illegible] თავის სტიპენდიატებს [illegible] საერთო რიცხვიდან მიმდინარე წელს დაამთავრებენ უმაღლეს სასწავლებელ: 1 ინჟინერი ელექტრო ტეხნიკი, 3 ეკონომისტი, 1 ფერშალი ქალი, 2 კბილის ექიმი, 1 ისტორიკოსი და 2 სასოფლო მეურნეობის სპეციალისტები, ბალახის თესვის და ნიადაგის გაშენების საქმეში.

სტიპენდიანტების მუშაობის გადასინჯვის დროს მცირე წარმატების აღმოჩნდნენ სამი. უკანასკნელ საერთო კრებაზე სტიპენდიანტებმა მადლობით მიმართეს აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს და განათლების სახალხო კომისარიატს მატერიალურ დახმარებისათვის და აღუთქვეს სათანადო სპეცების მომზადება, რომლებიც იქნებიან რესპუბლიკის ერთგული მუშაკები.

„წითელი აფხაზი“. გამოცხადებულია, რომ მთავრობის ხომალდზე „წითელი აფხაზი“ მოგზაურობა თავისუფალია უნებრივად, რომელიც საჭიროა სხვა ხომალდებით მოგზაურობის დროს.

პარტიული ცხოვრება. პარტიული მუშაობა სამურზაყანოს მაზრაში ამ უკანასკნელ დროს ვითარდება ჩქარი ტემპით. სასოფლო კომიაჩეიკების მდივნების ყრილობა იკრიბება ყოველ 15 დღის შემდეგ. 12 ივლისისათვის სამურზაყანოს მაზრის კომპარტიის კომიტეტი იწვევს პარტიის ყველა წევრების და კანდიდატების ყრილობას. სოფლებში სწარმოებს ენერგიული აგიტაცია. პარტიული კომიტეტი ღებულობს ენერგიულ ზომებს პარტიის წევრთა შორის პოლიტიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. 9 კურსანტები მივლინებული არიან სოხუმში 4 თვიან პოლიტიკურ კურსებზე. საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობის ზრდა ეტყობა, როგორც უღარიბეს ისე საშუალო შეძლების გლეხობას.

წიგნთსაცავის საქმე. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, სოხუმის ცენტრალური წიგნთსაცავი გადააკეთეს რესპუბლიკის ცენტრალურ წიგნთსაცავად ყველა უფლების მინიჭებით, რაც საჭიროა სახელმწიფო მასშტაბით გაერთიანებულ წიგნთსაცავისათვის.

აჭარა

საბინაო საკითხი. აჭარის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, სახელმწიფო საბინაო ფონდის 25-დან 50 პროცენტამდე გადიდების შესახებ; გაუქმდეს საბინაო განყოფილება და სახლის კომიტეტები; შედგეს განმანაწილებელი კომისია, სახელმწიფო-საბინაო ფონდის გამოსარკვევად, ნება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას მისცეს ორდერები ბინებზე მხოლოდ სამხედრო პირთათვის.

სახლების კონფისკაცია. მიიღო რა მხედველობაში, რომ სახლების კონფისკაცია არ წარმოადგენს სახელმწიფოსათვის სარგებლობას, აჭარის

გაიძვერა ყვითელ ინტერნაციონალიდან

აპრილის პირველ რიცხვებში საბჭოთა საქართველო გააბედნიერა თავისი ჩამოსვლით სოციალ-დემოკრატმა მე 2 ინტერნაციონალიდან, ვენის „მუშათა გაზეთის“ რედაქტორმა ბ. იულიუს ბრაუნტალმა. ეს ვაჟბატონი, ქართველ მენშევიკის ყანდარელის თანხლებით, საქართველოს საბჭოთა ხელისუფალთათვის წინასწარი ცნობის მიუცემლად, მოვიდა გემით ბათომში, თან ჩამოიტანა მოსახლეობისათვის წამლეული „8 ვაგონამდე,“ როგორც დასაწყისშივე შეგვატყობინეს მისი სიტყვებიდან,—საბჭოთა მთავრობის მისამართით, წამლეული მას აღმოაჩნდა სულ 135 ფუთი, ე. ი. დაახლოვებით ერთი მე 8-დი ვაგონი გამოგზავნილი მთავრობის სახელზე დამშეულ მოსახლეობისათვის. მაგრამ როგორც ეს შეშვენის კეთილ სოციალ-დემოკრატს, ბრაუნტალს აღმოაჩნდა დამატებითი მანდატი, რომლითაც ამსტერდამის პროფინტერნის მიერ მას ეძლეოდა უფლება თავის შეხედულებისამებრ გაენაწილებია მედიკამენტები. ამის მიხედვით მან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან მაშინდელ თავმჯდომარე ამხ. მ. ოკუჯავასთან საუბარში მოითხოვა მისცემოდა მას უფლება თავის პერსონასთან ორგანიზაციის შექმნისა, რომელსაც უნდა მოეხდინა განაწილება, ამასთან აუცილებლად თვლიდა მოწვევას კოოპერაციის წარმომადგენლებისას, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მოსახლეობის მკურნალობასთან. მას ეს უფლება მიანიჭეს, ამასთან შენიშნეს, რომ თუ საერთოდ საჭიროა რამოდენიმე ათეულ ფუთი წამლეულის გასანაწილებლად საგანგებო ორგანიზაციის შექმნა სახალხო ჯანმრთელობის წითელი ჯვრის და პროფკავშირების არსებულ ორგანოების გვერდით, ყოველ შემთხვევაში კოოპერაცია აქ არაფერ შუაში იყო. ამას ბრაუნტლი დაეთანხმა. ამასთან მან საჩივარი წამოაყენა, რომ მედიკამენტების გადაზიდვის და მის და ყანდარელის გადაყვანისათვის რკინის გზამ ფასი აიღო. მილიონ მანეთების სათანადო რაოდენობა მას დაუბრუნეს სახალხო კომისართა საბჭოს საშუალებიდან, მითითებით, რომ ჩვენი რკინის გზები, რომელიც გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე, უფასო ოპერაციებს არ აწარმოებენ, რითაც აიხსნება ფასის გადახდევინება, რომელსაც მთავრობა თვითონ კისრულობს. კიდევ რამოდენიმე მოთხოვნა წამოაყენა ბრაუნტალმა, და ღებულობდა დაკმაყოფილებას. ყველაფრიდან სჩანდა, რომ ავსტრიის მუშების მცირე, მაგრამ მაინც ძვირფას საჩუქრით საქართველოს მოსახლეობისათვის, რომელიც იტანჯება სტიქიურ უბედურებისაგან, ყვითელ ინტერნაციონალის წევრს სურდა მოეხდინა შანტაჟი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და შექმნა მისი გამბახებლი კონფლიქტები. მთელ რიგ საუბრებში ამხ. ოკუჯავასთან ბ. ბრაუნტალი იძლეოდა კითხვებს საქმეთა მდგომარეობის შესახებ საქართველოში, რომლებზედაც ღებულობდა ამომწურავ პასუხს და ცნობებს. უკანასკნელად მან განაცხადა სურვილი წერილობით ფორმაში ჩამოეყალიბებია კითხვები და წერილობითვე მიეღო პასუხი, რაც ამხ. ოკუჯავამ სცნო ზედმეტად, მიანდო რა „მოქ. ბრაუნტალის სინდისს საუბრის შინაარსის სწორი გადაცემა და გაშუქება ევროპაში იმის, რაც მან აქ დაინახა.“ ყვითელი სოციალ-დემოკრატი, ეტყობოდა, გაოცებული იყო, რომ კომუნისტური მთავრობის თავმჯდომარე უჯერის მის სიტყვას და შესაძლებლად მიაჩნია არ მიმართოს მასთან საუბრის ნოტარიულ ჩაწერას, მაგრამ დაკმაყოფილდა და „გულწრფელობის“ ნოტით ხმაში აღუთქვა, რომ თავის მხრით სისწორით გააშუქებს ყველაფერ ნახულს და გაგონილს. ბრაუნტალი ორჯერ ეწვია „ტრიბუნის“ რედაქციას, სადაც დასტოვა თავისი ყოფნის კვალი ინტერვიუს სახით, რომელიც ასე სტუმარმოყვარეობით მიიღეს და გამოაქვეყნეს მემარცხენე ფედერალისტებმა. უკვე ამ უტიფარ ინტერვიუდან ყველას შეეძლო დასკვნა გამოეყვანა, რომ „ქველმოქმედის“ სახით საბჭოთა საქართველოში შემოძვრა ანტანტისებური ტიპი, რომელსაც ესაჭიროება მხოლოდ „თვითმნახველის“ სტაჟი ცილისწამებრივი კამპანიისათვის საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, გენუას კონფერენციის წინ და მის განმავლობაში.

თბილისში 10 დღემდე დარჩენის და, წითელ ჯვრის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და მედიკო სანიტარულ მუშაკთა პროფკავშირის საშუალებით, თავის ასეულ ფუთ წამლეულის განაწილების შემდეგ, ბრაუნტალი თავისი მთარგმნელით წავიდნენ უკან 15 აპრილს. მისმა „სინდისმა“, ვენაში დაბრუნებისას, გადმოანთხია ისეთი სიმყრალე, რომ ამხ. რადეკი იძულებული შეიქნა გაზ. „პრავდა“-ში მოენათლა ბრაუნტალი ნაზი სახელწოდებით „გაიძვერა“ („პროხვოსტ“). ბრაუნტალმა ვენის „მუშათა გაზეთში“ იწყო მოთავსება მთელ რიგ წერილებისა სათაურით—კომუნისტური საქართველო (იგულისხმება ფრჩხილებში), ცილისწამებით და სიყალბით აღსავსე წერილებისა.

სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე ვერ მივიღეთ ნომრები ხსენებულ გაზეთისა, რომლის ფურცლებზე ბრაუნტალი ანთხევს თავის ნაღველს და ანტანტის დაქირავებულ აგენტის გაცოფებულ ძაღლის ნერწყვს მუშების და გლეხების საქართველოზე, რომელთაც შორის გადისროლეს ბრუნტალის ქართველი თანამოძმენი. ჩვენ ხელთა გვაქვს მხოლოდ მარტოვის ცრუ „სოციალისტური უწყება“, რომლის ორ ნომერში გადმოცემულია ბრაუნტალის „სიმშვენიერენი“.

ბრაუნტალი თვალთმაქცურად გამოსთქვამს გაკვირვებას იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ვენაში მას არ მისცა ვიზა საქართველოში შესვლაზე, მიუთითა რა იმაზე, რომ ესაა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების საქმე. ესევე მოიქცნენ ამხ. ამხ. ჩიჩერინი და კამენევი, რომელთაც ბრაუნტალმა ტელეგრაფით მიმართა მოსკოვში. ადვილი წარმოსადგენია ყვითელ გმირების „ველური ცეკვა“, რომ მას ამ გზით მიეღო შემოსვლის ნებართვა: „შეხედეთ, პატიოსანო ხალხო, საქართველოში შესვლის ნებართვას აძლევენ მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლები! აი თქვენ საბჭოთა საქართველოს „დამოუკიდებლობაც“. არ გავიდა ეს ნომერი, მაგრამ ბრაუნტალმა იცის, თუ რას ჩასჭიდოს ხელი და რისთვის მორთოს ყვირილი. საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი სტამბოლში აძლევს მას ვიზას, როგორც პატიოსან ადამიანს, რამდენადაც ბრაუნტალმა პროვოკაციული მოსაზრებებით მიმართა მოსკოვს, და არა თბილისს, და ახდევინებს დაწესებულ ფასს. „არა საბჭოთა კანცელარიისათვის მოაგროვეს ფული ავსტრიის მუშებმა“, მოსთქვამს ბრაუნტალი და მას ბანს აძლევს მარტოვი. ბრაუნტალი ხლესტაკოვისებურად ასწერს იმ სიძნელეთ, რომლების გადალახვა მას თითქო მოუხდა საქართველოში თავის არც ისე მძიმე ბარგის განაწილების დროს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, შეხედეთ, იგი მაინც ახერხებს მოაწყოს განაწილება და „შესრულებული მოვალეობის გრძნობით“ დაბრუნდეს უკან. მაგრამ მას აწევს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობაც—ასიამოვნოს თავისი პატრონი—ანტანტა, საქართველოში მდგომარეობის შესახებ „უტყუარი“ ცნობების მიწოდებით. ბრაუნტალი, როგორც „თვითმნახველი“, ტყუის ყოველ მხრივ. ის იძლევა მარტოვის პატიოსანი გადმოცემით შემაძრწუნებელ სურათს იმისას, თუ „რა გააკეთეს ბოლშევიკებმა ერთი წლის განმავლობაში, თავისუფალ და ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილ საქართველოში“. თავის ერთი წლის სამხედრო დიქტატურის განმავლობაში ბოლშევიკებმა თურმე მიიყვანეს საქართველო უფსკრულის კიდემდე: „გაიეროვნეს“—ჰოი, საშინელებავ,—აფთიაქები, ე. ი. შესწყვიტეს მედიკამენტების ყოველგვარი მოტანა ქვეყანაში. მოსახლეობის 60 პროცენტი, ეს ბრაუნტალმა ნახა თავისი პატიოსანი თვალებით, დაავადებულია მალარიით და ეპიდემია ემუქრება მოედვას მთელ ქვეყანას. ბრაუნტალი, მადლობა ღმერთს, არ მოყვა ავად გამხდართა რიცხვში. „მოუსავლობა და დაუთესველობა ემუქრებიან საქართველოს მიმდინარე წელს ზოგიერთ რაიონებში. სიმშილის კატასტროფით, ვოლგის მხარის მსგავსად“. ეს იწერება 22 წლის საქართველოზე, სადაც გლეხები თესდნენ სახლების სახურავებზედაც კი, თუ იქ იყო მიწა, და სადაც ისეთი მოსავალია მოსალოდნელი, როგორიც არ ყოფილა. უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, „სახელმწიფო მამულები რომელნიც წინანდელ მენშევიკურ მთავრობის დროს იძლეოდნენ პურის და შემოსავლის მნიშვნელოვან რაოდენობას, ეხლა საჭიროებენ უშველებელ სახაზინო სუბსიდიებს“.

„მრეწველობა სრულიად დადგა“. შავი ქვის ამოღების შეჩერებასთან ერთად, „თითქმის სრულიად შეწყდა ნახშირის ამოღებაც“. საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს და მუშებს აქვთ საბაბი მხიარულად დასცინიან „ბხანდახლისტს“ მეორე ინტერნაციონალიდან. ასევე შეუძლიათ გამხიარულდნენ თბილისის რკინის გზათა სახელოსნოების მუშები ბრაუნტალის ფიცის გამო, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა გაზიდეს რუსეთში (ალბად პლატფორმებზე. მ. ა) ყველა ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი ორთქლმავლები და ვაგონები, ხოლო დარჩენილი ძველი ნაყარ-მუყარი საჭიროებს შეკეთებას, რკინის გზის სახელოსნოები თითქმის სრულიად უმოქმედოდ არიან“. და ეს ხდება თურმე იმიტომაც, რომ „ყველა დახელოვნებული რკინისგზელი მუშები, სოციალდემოკრატები, იმყოფებიან საპყრობილეებში“. გეყურებათ, სახელოსნოების მუშებო? თქვენ დაგჭირდებათ ვაგონები და ორთქლმავლები შესაკეთებლად მიაგოროთ მეტეხის ციხესთან, სადაც, ბრაუნტალის რწმუნებით, სხედან 7,000 (!) მენშევიკი, დახელოვნებული, „ძველი, გამობრძმედილი“ მუშები, ურომლისებოდ თქვენ არამც თუ ვაგონებს ვერ შეაკეთებთ, არამედ ვერ შესძლებთ „დარჩენილი ნაყარ მუყარის“ გაწმენდას. ბრაუნტალი ირწმუნება, რომ „სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მოსახლეობის ღონემიხდილმა, დაკონკილმა სახემ“. სამწუხაროა, რომ „მოსახლეობას“ პირისპირ არ უნახავს ეს გაიძვერა, რომელიც მოვიდა ამგვარი გმირული მოქმედებისათვის ხოლო ვერ ნახა აი რატომ. ბრაუნტალი მწარედ სჩივის, რომ მუშებს უნდოდათ მისთვის გაემართათ ოვაციები, გაემართათ მის ჩასვლის საპატივცემლოდ კრებები, მაგრამ ხელისუფლების აგენტები კვალდაკვალ დასდევდენ მათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ის გაურბოდა თბილისში თავის ერთი კვირის ყოფნის განმავლობაში დასწრებოდა თბილისის საბჭოს და პროფკავშირების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სხდომებს (ბათომში სცადა, მაგრამ ისეთი რამ გაიგონა საჯაროდ თავის საკუთარ პერსონალზე, რომ ხალისი დაუკარგა), ის მაინც ასწერს „ფარულ კრებებს ღამით, რომლებსაც ის პირადადაც ესწრებოდა, ხედავდა ურყევ სულს და სოციალიზმისადმი ერთგულებას (!!), რომელიც მეფობს ქართულ ამხანაგების გულში“, ე. ი. მენშევიკების. ამ ღამღამობით ხეტიალის შედეგად, ბრაუნტალი მომარაგდა სამგზავროდ ქართველ მენშევიკების რეზოლიუციებით, რომლებსაც ის აქვეყნებს თავის გაზეთში, ასაღებს რა მათ „საქართველოს უმსხვილეს პროფკავშირების“ რეზოლიუციებად, დასასრულ ბრაუნტალი ფიცით არწმუნებს—ვის, თუ არ ანტანტას?—რომ „თუ ბოლშევიკების საოკუპაციო პოლიტიკა არ შეიცვალა უახლოეს დროში (გენუას კონფერენციასთან პარალელურად, ინტერვენციის შედეგად? მ. ა..) საქართველოს მოსახლეობას ემუქრება სრული მოსპობა“ და სხ.

აი რისთვის მოვიდა ბ. ბრაუნტალი საბჭოთა საქართველოში. აი რისთვის გამოიყენა მან ნდობა ავსტრიელ მუშებისა, რომელთაც პატიოსნათ აასრულეს თავის მოვალეობა საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობისა და შეაგროვეს შრომით შეძენილი კაპეიკები დამშეულების დასახმარებლად, დამშეულების, რომელთაც, მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, მაგრათ უკავიათ ხელში საქართველოს მუშების და გლეხების საბჭოთა ხელისუფლების დროშა, ბრაუნტალმა, ჩამოიტანა რა ავსტრიელ მუშების საჩუქარი, ისარგებლა მათი დელეგატის სახელწოდებით და შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა—საერთაშორისო იმპერიალიზმის ცრუ ჯაშუშის და მზვერავისა.

წინეთ იმპერიალიზმი აგზავნიდა მტრულ ქვეყნებში ან კოლონიებში, როგორც თავის წინამორბედებს და მზვერავებს,—ხუცებს და ბერებს სახარებით, ვაჭრებს არყით, სპირტით და სიფილისით, ახლა ამ როლებს მასთან ასრულებენ მეორე, ყვითელი ინტერნაციონალის წარმომადგენლები, საქართველოს და მთელი ფედერაციის მუშებმა და გლეხებმა ეს უნდა იცოდნენ.

საბჭოთა ხელის უფლებამ თავის მხრივ მომავალში უნდა გადარაზოს კარები მსგავსი ყვითელ გაიძვერებისათვის.

მ. ამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკლარაცია

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა

საქართველოში ჩვენამდისაც არსებობდა სუსტი სულის თქმით პროლეტარული-რევოლიუციონური ლიტერატურა იმდენათ, რამდენადაც არსებობდა პროლეტარიატის რევოლიუციონური მაჯის-ცემა პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატისა დიქტატურის აღიარების შემდეგ და საბჭოთა წესწყობილების დამკვიდრების დღიდან, ჩვენში—პროლეტარული ლიტერატურა ყალიბდება ორგანიზაციულად და ფრთებს შლის იდეიურათ ისე, როგორც პროლეტარული სხვა შემოქმედება საბჭოთა სისტემის სხვა და სხვა სფეროში.

პროლეტარული ლიტერატურა ახალი და მასთან კლასიური ხასიათის მოვლენა არის ჩვენს დროში. ის დაიბადა მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში; მისი ზრდა და შემდეგი განვითარება დამოკიდებულია **ყველა იმ ისტორიულ მსვლელობის აუცილებლობაზე, რომელსაც კაცობრიობა** გიგანტიური ნაბიჯით მიყავს უმაღლეს საზოგადოებრივ ფორმამდე—კომუნიზმამდე.

ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია სამრეწველო პროლეტარიატი; იგი თითქმის დღეს იკიდებს ფეხს და ძლიერდება. რამდენად ეს უკანასკნელი ძლიერდება და შლის ფრთებს, სახელოსნოების და ამქრობის ადგილს იჭერს ფაბრიკა ქარხნები თანამედროვე ტეხნიკის მიღწევებით—იმდენათ დიდია გავლენა ზემო ჩამოთვლილის პროლეტარულ პოეტებზე და მწერლებზე და პროლეტარული ლიტერატურაც ძლიერია.

ჩვენც ვცდილობთ, რომ მას არ ჩამოვრჩეთ. აღარ არის წარსულისაკენ ცქერის დრო, საქართველოს დღეს ახალი მზე უნათებს თავისი ცხოველ მყოფელი სხივებით. დევ, სულით დაცემულებმა, იტირონ თავიანთი სიუძლურე და სიბეჩავე. დღეს ორთქლის და ელექტრონის ბატონობაა. მათი ძალით კაცობრიობა უნდა მიწვდეს ბუნების საიდუმლოებას. ხმელეთზე ეტლების მაგივრად—მიქრიან ორთქლმავლები; ზღვა ოკეანებში მიმოცურავენ მთის ოდენა გემები; ჰაერში გაჰყავთ რკინის გზები. საქართველოც ელის ამ მეოცე საუკუნის კულტურის სხივებს.

დაკორძებული ხელები უცდიან ამუშავებას. ცხოვრების წინ გაქანება შობს ახალ იდეიებს და აზრებს, ახალი აზრები კი ახალ დაჭედილ სიტყვებს, ეს უკანასკნელი კი ახალ სტილს და ფორმებს. და აი ამ პროცესშია დღეს პროლეტარული ლიტერატურა.

თანამედროვე საქართველოს მწერლობა თავისი დეკადენსობით, რომლიდან ლოღიკურად გამომდინარეობს: ფუტურიზმი, სიმბოლიზმი (ჩვენებური „ყანწელები") და სხ. მიმართულებები მაჩვენებელია უსათუოდ არსებული საზოგადოების დაშლის და ჩვენ ვუცქერით მას, როგორც მიუღებელ ფორმას მუშათა კლასისათვის. ამ მიმდინარეობათა იდეოლოგია დაფუძნებულია უკიდურეს ინდივიდუალიზმისა და საზოგადოებრივი იდეალის მიჩქმალოვაზე და მტრულად განწყობილია პროლეტარიატის კოლექტიურ შემოქმედებისა და შეგნებისადმი.

ჩვენ ვთვლით, რომ ყველა ზემო ჩამოთვლილ ლიტერატურულ-მხატვრული მიმდინარეობანი არ შეიძლება საფუძვლად დაედვას პროლეტარულ მხატვრულ შემოქმედებას, რადგან პროლეტარული ლიტერატურა, როგორც იდეოლოგიურ კლასიური მოვლენა ისტორიულ მსვლელობაში ღებულობს საერთო საკაცობრიო ხასიათს, როგორც ფორმის ისე შინაარსის მხრით.

ის არის მთელი. ამავე დროს მიდის ახალი ფორმების და მეთოდების შექმნის გზით და ცდილობს გამოიყენოს ყველა ის მიღწევანი, რომელიც კი არსებობენ თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურაში.

ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ, მწერლობამ რამდენიმე „სკოლა" განვლო, ხოლო პროლეტარულმა ლიტერატურა, მწერლობა თავის საკუთარ სკოლას ახლა ჰქმნის. იგი ძიებაშია.

საზოგადოებრივი ცხოვრება იწვევს ახალ ფორმებს მწერლობაში. მხატვრის მასალა: სიტყვა, ბგერა, სახეები, ფერები და მუსიკალობა ჩვენ მხოლოდ მხატვრულ აზრის და იდეიის გამოსახატავ საშუალებათ მიგვაჩნია.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ ვუარყოფთ მწერლობაში იმ აზრსაც ვითომ შესაძლებელი იყოს და ან არსებობდეს „ხელოვნება ხელოვნებისათვის", ხელოვნება ცხოვრების გარეშე ესფინქსია და ვინც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ის ჭკუის გარეშე სდგას.

ყველა ჩვენს ამხანაგს პროლეტარულ პოეტებს და მწერლებს სრული თავისუფლებით შეუძლიათ შემოქმედების მეთოდები და ფორმები გამონახონ, რაც უსათუოდ მისაღები იქნება პროლეტარულ მოზარდ ლიტერატურისათვის.

ჩვენი ლოზუნგებია:

შესწავლა და გადაძლევა ჩვენამდე არსებულ მხატვრულ ლიტერატურულ მიმართულებათა ახალ-ახალ მიღწევათათვის.

ამ საქმეს დღეს საქართველოში ემსახურება ჟურნალი „ქურა" და მის გარშემო შემოკრებილი პროლეტარული პოეტები და მწერლები.

ჩვენი მიზანი და დანიშნულება:

1) გამოყენება იმ მიღწევათა, რომელიც კი არსებობს წარსულსა და თანამედროვე ქართულ თუ უცხოელთა ლიტერატურაში;

2) ჩარევა და ჩაბმა ქართველ პროლეტარულ მწერლებთან ერთად პოეტურ შემოქმედებითი პროცესში ქართველი მუშებისა, რომ კოლექტიური ძალღონით შეიქმნას პროლეტარული ლიტერატურისათვის ახალი მეთოდები, ფორმები და სტილი.

3. მიეცეს ქართველ მკითხველს ნიმუშები მხატვრულ ლიტერატურის ყველა დარგებიდან: ლირიკის, ბელეტრისტიკის და დრამის, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი.

ჩვენ პროლეტარული პოეტები და მწერლები დარწმუნებული ვართ და ამავე დროს საყოველთაოთ ვაცხადებთ რომ პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებით ჩვენში ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, არც ფორმით და სტილით არის სრულ ქმნილი, მაგრამ ჩვენ ვიმტკიცებთ მაინც ერთს: რომ ის არის ერთად ერთი ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დასაწყისს პოულობს ჩვენს გარდამავალ დროში, და **რომელსაც სძალუძს განვითარდეს და დაიპყრას სულიერი კულტურის მწვერვალები.**

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საბჭოს წევრები: **სილვა თოდრია, რაჟდენ კალაძე, ნ. ზომლეთელი, სანდრო ეული იონა ვაკელი, პეტრე სამსონიძე, ს. თალაკვაძე, იაკინთე ლისაშვილი, გ. ციმბირელი.**

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაუბრუნდეს სახლები პატრონებს, თუ აღნიშნული სახლები არ არიან მუნიციპალიზაციით ჩამორთმეული, გამოკლებით იმ სახლებისა, რომლებიც აშენებულია ფაბრიკა-ქარხნების ტერიტორიაზე.

მე 3 საბჭოთა ქარხანა. მე 3 საბჭოთა სარემონტო მექანიკური ქარხანა (ყოფ. პიტოევის) მუშაობს წარსული წლის აპრილიდან, რომელიც აწარმოებს ავტომობილების და ეტლების შეკეთებას და სხვა. არის სატამბო განყოფილება. მიიღება, როგორც სახელმწიფო ისე კერძო დაკვეთები. ამ ჟამად ქარხანაში სწარმოებს ავტომობილების შეკეთება. ქარხანა იმყოფება აჭარის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში. მუშების მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. კვალიფიციური მუშები ღებულობენ თვიურად 25—40 მანეთს ოქროთი, არა კვალიფიციური—15—25 მანეთამდე. მუშაობა გამოცოცხლდა. შემოსავალი ჯერ-ჯერობით ჰფარავს სამუშაო ქირას.

არჩეულია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის ახალი შემადგენლობა. არსდება კომიაჩეიკები. მუშების შორის არ სწარმოებს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

ციმბირის ჭირი. ქობულეთის რაიონში ადგილი ჰქონდა ცხოველების ციმბირის ჭირით დაავადმყოფების 3 სპორადიულ შემთხვევას. დაუყონებლივ მიღებული ზომებით ეპიდემია შეწყვეტილ იქნა.

სანიტარული ტრანსპორტი. ბათომის კომუნალ. მეურნეობის განყოფილებამ მიიღო პიატიგორსკიდან დეპეშა, რომ ბათომში გაგზავნილია კომუნ. მეურნეობის განყოფილების მიერ შესყიდული 35 ცხენი სანიტარული ტრანსპორტის საჭიროებისათვის. სასწრაფოდ მთავრდება ახალი ასსენიზაციური ბოჭკების დამზადება.

ქარხანა „მარსი". თუნუქის ჩამოსასხმელი ქარხანა „მარსი", რომელიც არსებობს 1909 წლიდან, ამ ჟამად მუშაობს უმთავრესად საქპოსო ხერხით და მოწყობილია საუკეთესო ახალი მანქანებით. მისი წარმოება გამოანგარიშებულია საზღვარ გარეთ ბაზრისთვის—ოსმალეთის და ანატოლიისთვის. ქარხანა იწერს სატყეო მასალას რუმინიიდან, იმ დროს როდესაც ბათომს აქვს ხეტყის ქარხნები და გარშემორტყმულია ტყის მიდამოებით: საზღვარ გარეთიდან მიღებული ტყის მასალა უიაფესია ადგილობრივზე.

გამოკვების კავშირში. კავშირი აერთიანებს 421 წევრს, რომლებიდანაც სამუშაოზე 324. უმუშევარია 50. ქალები 85. გამგეობის უკანასკნელი მუშაობის მთავარი საკითხებია—თამბაქოს ქარხნებში შტატების შემცირება, ქიმიური და ყინვის ქარხნების მუშების ლიკვიდაცია, რომლებიც ფაქტიურად არ მუშაობენ. ლიკვიდაციას აბრკოლებდა ის, რომ სამეურ-

---

ნიო ორგანომ უარი განაცხადა მუშებისთვის ოქროს ვალიუტის კურსის მიხედვით ანგარიშის გასწორებაზე: საკითხი უმტკივნეულოდ გადაჭრილი იქნა მუშების სასარგებლოდ. კავშირში შედის საკვები წარმოების 62 დაწესებულება და 4 თამბაქოს წარმოება კავშირის წევრთა უმრავლესობა წერაკითხვის უცოდინარია.

საკულტურო განყოფილებამ შეადგინა სია წერა-კითხვის უცოდინარებისა და გააგზავნა ისინი სკოლაში. სატარიფო საეკონომიო განყოფილებამ დასდო პოლიტიკური ხელშეკრულება ყველა მწარმოებლებთან. შრომის დაცვის განყოფილებამ დაათვალიერა წარმოებათა უმეტესი რიცხვი. მოხერხდა ფურნეებში ღამის მუშაობის თანდათანობითი განდევნა. განზრახულია თამბაქოს ქარხნის „ვოსტოკის" კაპიტალური შეკეთება.

ამ ქარხნის ნაციონალიზაციის შემდეგ ის სრულებით არ შეკეთებულა; ბევრ მუშას ასახლებენ მათ მიერ დაჭერილ ბინებიდან. მუშავდება პროექტი საერთო საცხოვრებელი ბინის გახსნის შესახებ.

პროფკავშირთა საბჭოები. შრომის დაცვა ტარდება უკანასკნელი წესების მიხედვით. მოზარდების 14 წლამდის ითხოვენ სამსახურიდან და აგზავნიან ტეხნიკუმებში და საღამოს სამაცადინო შკოლებში. დაარსებულია კომისია. მოზარდ მუშების ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. განზრახულია წერა კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა. კოოპერაციის დარგში მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. წითელ არმიელების ოჯახებისთვის დახმარება გამოიხატება ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ძალებით სახლების შეკეთებაში. კავშირის ყველა წევრებს ევალება ტეხნიკუმებში სწავლა. პროფტეხნიკური კურსები არ არი მოწყობილი საშუალებათა უქონლობის გამო.

კლუბი არის მხოლოდ „ხოლოდნოსლობოდის" რაიონში. დანარჩენ რაიონებში კავშირის წევრები შედიან მუშათა კლუბებში. გამომცემლობითი მუშაობა გამოიხატება ქართულ და ბერძნულ ენაზე კედლის გაზეთების და ფურცლების გამოშვებაში. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სწარმოებს იაჩეიკების ძალებით. მოხდა წარმოებებში და დაწესებულებებში მცირე წლოვან მუშა-მოსამსახურეების არიცხვა.

აზერბაიჯანი

ესერების საქმე. (რადიო). აზერბეიჯანის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა ამიერ-კავკასიის ესერების საქმე გადასცეს განსახილველად. აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონურ ტრიბუნალს. გამოყოფილია სპეციალური სესია ამხ. პოლუიანის თავმჯდომარეობით.

დამშეულების მადლობა. დამშეულთა დახმარების ცარიცინის კომიტეტმა 800,000 დამშეულ მშრომელების სახელით მადლობა გამოუცხადა აზერბეიჯანს აღმოჩენილ დახმარებისთვის.

კასპიის ფლოტში. (რადიო). პირველ ივლისს კასპიის ფლოტის ახალგაზრდა მატროსებმა მიიღეს წითელი ფიცი რევოლიუციისადმი ერთგულებაში.

სათესი მასალის კამპანია. (რადიო). უმაღლეს ეკონომ. საბჭომ დაადგინა გამოყონ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისთვის სავალიუტო საქონელი 10,000 მანეთი ოქროს ღირებულების მარცვლების დასალბობ მანქანების შესაძენად სათესი მასალის კამპანიისათვის.

გაზიდვა ივნისის განმავლობაში (რადიო). ივნისის განმავლობაში გატანილია ასტრახანში 18 მილ. ფუთი ზეთი 3 ნახ. მილ. ფუთი ნავთი.

სამთა-მადნო მუშ. კავშირის კონფერენცია (რადიო). 2 ივლისს გაიხსნა მე-7-ე საერთო საქალაქო კონფერენცია სამთამადნო მუშაკთა კავშირისა სპეციალური დაზღვევის და სხვა საკითხების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ბაქოში 41 პროცენტია. სამრეწველოებზე 4—5 პროცენტი. ოსმალოებს შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 4 ნახ.-ჯერ ნაკლებია სხვა ეროვნებათა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვზე.

ფასების ზრდა (რადიო). შრომის სახალხო კომისარიატის სატარიფო საბჭომ გამოაცხადა ფასების ზრდა ივლისისათვის 30 პროცენტის თანაბრად.

ნავთის ფრონტზე. 27 ივნისს ყველა ადგილებში ამოღებულია 490,000 ფუთი, აღებულია გადასაქაჩავად 328000 ფ. მიღებულია გადაქაჩვისაგან 324.000 ფ. გატანილია რკინის გზით 80,000 ფ. გაწმენდილია 8000 ფ. 28 ივნისს გატანილია ზღვით ბაქოდან ასტრახანში ნავთის წვრილი პროდუქტები 435,038 ფ., ნავთი 208,456 ფუთი, ზეთი 88,641 ფუთი, პეტროვსკიდან ასტრახანში—გროზნოს პარაფინის ნავთი 3855 ფუთი.

ბაქოს ბაზრობა. სწარმოებს საქმიანი სამზადისი ბაქოს ბაზრობისათვის, საკითხი ბინის შესახებ გადაჭრილია და საბაზრო საქონლის საწყობების გახსნისთვის და სხვ. მიჩენილია ახალი საბაჟოს რაიონი. აქ არის დიდი შენობები საწყობებისთვის, რომელიც დაიტევს საქონლის საგრძნობ რაოდენობას, ჩამოსულთ მისცემენ ბინებს, სახელმწიფო დაწესებულებებს გვპირდებიან ფართე დახმარებას და ბაზრობაში მონაწილეობის მიღებას.

რკინის გზამ აღუთქვა შეღავათიან პირობებში გადაზიდვა საბაზრო საქონლის. საკავშირო საბჭომ აღუთქვა დახმარების გაწევა სპარსეთიდან საქონლის შემოტან-გატანაზე.

თურქესტანიდან მოელიან აბრეშუმს, ბამბას, მატყლს, გამხმარ ხილებს; სპარსეთიდან—სასურსათო და სავალიუტო საქონლებს: ბრინჯს და სხვ. ხარკოვის ბაზრობა აგზავნის ბაქოში ლითონის ნაწარმოებს, მატყლს რკინას და ნაწლავებს.

ირანის ამხანაგების ხსოვნას. 30 ივნისს ბაქოს პროლეტარიატმა აღნიშნა 1917 წლიდან 1922 წლამდე სპარსეთის და რუსეთის რევოლიუციაში ბრძოლის დროს დაღუპულ ირანის კომუნისტური პარტიის წევრების ხსოვნა.

ქრონიკა

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** კვირას, ივლისის 9-ს, დილის 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ., № 13), მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „საქართველოს შინაური და საგარეო მდგომარეობა მე 16 საუკუნის მეორე ნახევარში" (გაგრძელება). კრებაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიანთ.

◆ **გალაკტიონ ტაბიძის ავადმყოფობა.** პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ამ ჟამად ავად არის—პოეტი წევს საკუთარ ბინაზე.

◆ **კავკასიის ცალკე არმიის სატვირთოზიდო საშუალებათა სარემონტო ქარხანა** 1 ივლისიდან გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ქარხნის წარმოებამ გასული თვის განმავლობაში 75% აიწია მიუხედავად შტატების შემცირებისა 120 კაციდან 65 კაცამდე, ივნისში გამოშვებულია 30 ახლად გაკეთებული ფურგონი, 25 კაპიტალურ რემონტიდან და გარდა ამისა შესრულებულია მრავალი წვრილმანი სამუშაო. ქარხანასთან არის საკუთარი ბოსტანი—სივრცით 1 დესეტ. და საკუთარი პატარა კოოპერატივი.

◆ **1-ლი საბავშვო კერა**—რკინის გზელთა 1-ლი საბავშვო კერა კვირას 9 ივლისს მიდის წაღვერში საგარაკოდ, სადაც 4 ივლისს წავიდენ მუშები რკინის გზელთა დასასვენებელ სახლში. საბავშვო კერა მოწყობილია საზაფხულოდ 50 ბავშვისათვის, რომელნიც აჰყავთ უფასოდ მთელ პანსიონზე.

დღეს თეატრებში

საზაფხულო თეატრი „არტო"—საღამო წარმოდგენა ავადმყოფ მსახიობ ქალის ფედოტიევის ვალის სასარგებლოდ.

თეატრი „უნიონი" (სოლოლაკი 13) კონცერტი-კაბარე.

საქართველოს წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბი—საზაფხულო შენობა—წარმოდგენა, ორკესტრი, კინო.

მუშათა ცენტრალური კლუბი—სახალხო თეატრი—კინო.

თავისუფალი თეატრი—წარმოდგენა.

სომხების კლუბის თეატრი—ქონდრის კაცების წარმოდგენა.

თეატრი „არლეკინი"—მოსკოვის „ლეტუჩაია მიშის" რეპერტუარის პროგრამა.

პროფკავშირთა კლუბი—სალიტერატურო საღამო.

ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო-თეატრები

„სოლეი" (ყოფ რევოლიუც. სამხატ. თეატრი)—მზის საცოლე 6 სერია.

ეთერი (სახ. ოპერის თეატრის ბაღი) საიდუმლო ფომლის მოტაცება.

არფასტო—ითამაშე მასხარავ.

ზვეზდა (ყოფ. ალკრე)—მასკამორი.

საკავშირო საბჭოში

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი.

პლენუმის 5 ივლისის სხდომა სავსებით მოუნდა ფოსტა-ტელეგრაფის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის საკითხის განხილვას. პლენუმს წარედგინა განსახილველად 2 პროექტი.

პირველი პროექტის თანახმად, ის ეწყობა აპარატის ცენტრალიზაციის საფუძველზე, ცალკე რესპუბლიკების ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების შორის ანგარიშის გასწორების სრული გაუქმებით.

მეორე პროექტი სტოვებს რესპუბლიკებს შორის სამეურნეო ანგარიშების გასწორებას და ანიჭებს რწმუნებულებს უფრო მეტ უფლებებს და ნდობას.

მიღებულ იქნა პირველი პროექტი და დაევალა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. მარკარიანს, წარმოადგინოს შემდეგი სხდომისათვის უფრო დეტალური და საბოლოო დებულება.

საბაჟო სამმართველო.

წინანდელ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილების გამო, საბაჟო სამმართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარების შესახებ, ყველა მის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ტეხნიკურ და საბაჟოს ტარიფის საკითხების გამომუშავება მიენდო ფინანსთა სახალხო კომისარიატს, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში წარსადგენად.

თავმჯდომარეობა საბჭოში.

წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ მიღებულ საკავშირო ხელშეკრულების თანახმად, საკავშირო საბჭოს თავმჯდომარეობენ მორიგეობით მისი პრეზიდიუმის წევრები. რამოდენიმე დღის შემდეგ გადის ამხ. მიასნიკოვის თავმჯდომარეობის ოთხი თვის ვადა. ამის გამო დაადგინეს მორიგეობის წესით არჩეულ იქნას თავმჯდომარეთ ამხ. ნარიმანოვი.

შეცდომის გასწორება. საკავშირო საბჭოს სხდომის გუშინდელ ანგარიშში შეიპარა შეცდომა. დადგენილი იყო ამხ. იაძუზოვის შეყვანა არა საკავშირო საბჭოში, არამედ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს რეორგანიზაცია.

თბილისში ჩამოვიდა ამიერ კავკასიის რკინის გზების საოლქო სამმართველოს უფროსი ამხ. მარაროვი, რომლის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, საკავშირო საბჭოში განხილულ იქნება საკითხი, ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს შეცვლის შესახებ.

განზრახულია უფროსის მაგივრად რკინის გზების სათავეში ჩადგეს სამმართველო, შემდგარი ამიერ კავკასიის სამეურნეო ცხოვრებასთან დაახლოვებულ პირებისა და რკინის გზის ტრანსპორტის დარგის სპეცებისაგან ამხ. მარკაროვი დროებით გაემგზავრა ერევანში

მუშათა ცხოვრება

უწესრიგობა მიხეილის საავადმყოფოში.

(ნუ თუ მართალია ეს!)

მე-3 რაიონის შრომის ინსპექტორმა ბოლდუგიანმა შრომის დაცვის განყოფილების სატეხნიკო სექციაში შემდეგი საჩივარი აღძრა. თავის მძიმე ავადმყოფი დედა მიუბარებია მიხეილის საავადმყოფოში. იქ ავადმყოფს ძალიან ცუდად მოეპყრობიან. ექიმების გამოწერილ წამლებს მოწყალების და ერქომაიშვილის ქალი არ აძლევდა. ის უფრო თავის ტუალეტით და ტელეფონით ყოფილა გართული ვიდრე ავადმყოფის მოვლით. ავადმყოფს არ ქონია მოვლა არც სხვა მხრივ. ის იმდენათ უსუფთაოთ ყოფილა, რომ მის ლოგინს მატლებიც კი გაჩენია. ერქომაიშვილის ქალს შემდეგ დაჟინებით მოუთხოვია ავადმყოფი შინ გადაიყვანეთო. მას აყოლია ვინმე ექიმი ქავთარაძეც. ისიც უმტკიცებდა თურმე ავადმყოფის ჭირისუფლებს თქვენს ბინაზე უფრო სჯობია ავადმყოფისათვის, ვიდრე აქო, მაშინ როდესაც მისი ბინა არც იცოდა თუ რას წარმოადგენდა და რა იყო. ჩვენ არ ვიცით რამდენათ მართალია საჩივარში მოხსენებული ფაქტები, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ამის შესახებ დაინიშნოს გამოძიება და თუ კი ასეთი რამე დამტკიცდა, დამნაშავენი სასტიკათ დაისაჯონ.

პ. ხ.

მოზარდ მუშების კონფერენცია.

დღეს გაიხსნება ავლაბრის და ორთაჭალის რაიონის მოზარდ მუშების კონფერენცია. ამ ჟამად მრავალ ადგილას მოზარდ მუშაკთა შრომის პირობები ძალიან ცუდია. ხშირად მოზარდ მუშების მიმართ შრომის კანონებს გვერდს უვლიან. ზოგჯერ საშინელ ექსპლოატაციასაც კი აქვს ადგილი. შრომის დაცვის ორგანოები მართალია ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას აპყრობენ, მაგრამ მის წარმომადგენლებს თუ ადგილობრივ თვით მუშათა ორგანიზაციები არ დაეხმარა, ვერას გახდებიან, აი სწორეთ ასეთი კავშირის გასამშელათ და საერთოდ მოზარდთა შრომის დაცვის საქმის მოსაწესრიგებლათ იკრიბება დღეს მოზარდ მუშაკთა კონფერენცია. მოვუწოდებ ახალგაზრდა მუშაკებს თავის ინტერესების სადარაჯოზე დადგენ და გაბედულად და თამამად გაარკვიონ ის დუხჭირი პირობები, რომელშიც მათ უხდებათ მუშაობა. ჩვენს ინტერესებზე და ჩვენი ინტერესების შელახვაზე უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა დავილაპარაკოთ და ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები. ასედაც მოვიქცევით თუ გვექნება კლასიური შეგნება და თავის თავის ცოდნა. სალამი კონფერენციას.

გ. ტ.

„ოკას" წისქვილი.

ოკას წისქვილში მუშაობენ 3 წყებათ 48 კაცი. აქ თვითეული მუშა მუშაობს 12 საათს და მეორე 24 საათი თავისუფალია. 8 საათიან სამუშაო დღის განხორციელების შესახებ 3 ივლისს შესდგა მუშა მოსამსახურეთა კრება. დაესწრო შრომის ინსპექტორი ბუგდანოვი. ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ იმ დასკვნამდინ მივიდენ, რომ ადგილობრივი პირობების გამო შეუძლებელია 8 საათიან სამუშაო დღის განხორციელება. შრომის ინსპექტორი ბუგდანოვიც დასთანხმდა ამას. უმთავრესი მიზეზი კი ის შეიქმნა, რომ მუშები შორს დგანან და ღამე სამუშაოდან განთავისუფლებული შინ ვერ წავალთო. ყოფილა შემთხვევები რამდენჯერმე სამუშაოდან განთავისუფლებულ მუშის გზაში გაძარცვისა. მაგრამ ეს საკითხი კარგად მოწესრიგდებოდა, რომ ამ წისქვილის მუშა-მოსამსახურეებისათვის ერთი პატარა სახლი აღეთ აქვე მახლობლად. ამგვარად დადგენილ იქნა: მუშაობა განგრძობილ იქნას ისე როგორც აქამდი იყო, ე. ი. 12 საათი ზედმეტ 4 საათის მუშაობაში განსაკუთრებულ გასამრჯელოს მიიღებენ. ბოლოს შრომის ინსპექტორმა ბუგდანოვმა აუხსნა შრომის დაცვის კანონები, ელაპარაკა მის მნიშვნელობაზე. იქვე მოწყობილ იქნა ხოლერის საწინააღმდეგო აცრა. მოსამსახურეებმა ითხოვეს სანიტარულ გიგიენაზე ლექციის წასაკითხათ ლექტორი.

იქაური.

მე-2 რაიონის მკერავ ქალთა შორის.

ამ რაიონის მკერავ ქალებს წინათ ჰყავდა თავის დელეგატი, რომელიც ზრუნავდა მათთვის სამუშაოს საშოვნელათ. დღეს მას ეს დელეგატი ჩამოაცილეს და მიაწერეს არტელთან. არტელი ძალიან ცოტა სამუშაოს იძლევა, რამაც მეორე რაიონის მკერავ ქალთა შორის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა შეიქმნა. მკერავი ქალები ძალიან დააფიქრა ამ გარემოებამ. ისინი ისევ ცდილობენ დელეგატის დანიშვნას. ეს მით უფრო მოხერხებულად მიაჩნიათ რომ სხვა უფრო პატარა რაიონებს ყავთ თავის დელეგატი. ამ მიზნით ს. პ. კ. ს. შრომის დაცვის განყოფილების გამგეს ელბაქიანს უკვე მისცეს თხოვნა არტელთან ჩამოცილებისა და საკუთარ დელეგატის დანიშვნის შესახებ. თხოულობენ თუ მარტო ჩვენს რაიონზე მოუხერხებელია დელეგატის დანიშვნა, მაშინ შეგვიერთეთ ჩუღურეთის რაიონი და დაგვინიშნეთ ერთი დელეგატიო. თხოვნას ხელს აწერს 93 მკერავი ქალი.

ქ. ნ.

ფოსტა-ტელ. და რადიოს მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ყველგან დაიდვა კოლექტიური ხელშეკრულება და შრომის ხელფასის ახალ ტარიფზე გადავიდენ, მაგრამ ჩვენ ასეთი აღარ გვეღირსა. კარგა ხანია კოლექტიური ხელშეკრულება შემუშავებულია და გადაცემული შრომის სახალხო საკომისარიატოში დასამტკიცებლათ. დამტკიცების პროცედურა ძალიან ჭიანურდება. გვპირდებიან და გვაიმედებენ დღეს ხვალ დავამტკიცებთო. დამტკიცება იმიტომ ჭიანურდება, რომ იქ მუშა-მოსამსახურეთა საზიანო მუხლებია. საჭიროა ასეთი მუხლი დროზე გამოირკვეოდეს და თვით კოლექტიური ხელშეკრულება დროზე დამტკიცდებოდეს.

საქმე იმაშია, რომ ამ ხელშეკრულების დაუმტკიცებლობა მუშა-მოსამსახურეებს ძალიან ძვირად გვიჯდება. ხელშეკრულების დამტკიცების იმედით აგერ ორი თვეა შრომის ხელფასი არ აგვიღია. ეს კი ძალიან გაჭირვებასა და მძიმე მდგომარეობაში გვაგდებს. ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს თუ რას ნიშნავს დღევანდელ დღეს შრომის ხელფასის მიუღებლობა. ჩვენ სხვა არავითარი შემოსავლიანი წყარო არა გვაქვს, ყველა ასეთი ხელფასით ვცხოვრობთ. სასურველია ჩვენს ასეთ უმწეო მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევდეს შრომის სახალხო საკომისარიატო და ხელშეკრულების დამტკიცებას დროით გვაღირსებდეს. რა შეიქმნა ერთი ხელშეკრულების გადასინჯვა და დამტკიცება, ამდენხანს კონსტიტუციაც კი შემუშავდებოდა.

ფოსტელი.

რა ხდება შრომის ბირჟაში

(ფორმალური მხარის გამეფება).

უმუშევარი ტერ-აგაჯიანცი ჩარიცხული იყო შრომის ბირჟაში. ის მძიმე ავათ შეიქნა, ლოგინათ დავარდა და ბირჟაში საჭირო დროს რეგისტრაციისათვის ვერ ცხადდებოდა. ბირჟამ ამორიცხა უმუშევართა სიიდან. რასაკვირველია ასედაც უნდა მოქცეულიყო. მან იცოდა რომ ტერ-აგაჯიანცი ავათ იყო. მაგრამ ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ ის გამორჩა და გამოცხადდა ისევ ბირჟაში. უთხრეს ამორიცხული ხართ და თქვენი აწი ჩარიცხვა არ შეიძლებაო. შეიძლება კანონის ფორმალური მხარე ასე უკარნახებდეს ვინმეს, მაგრამ შეუძლებელია ამ ფორმალური მხარის გამეფებით დაისაჯოს მუშის სასიცოცხლოს ინტერესი. შრომის ბირჟა და შრომის დაცვის ყველა ორგანოები უნდა იცავდეს მუშის ინტერესებს, თუნდაც ისეთი მუშისას, რომელმაც ავადმყოფობის გამო ეს კანონი ვერ შეასრულა. სასურველია პირველ რიგში მუშის ინტერესები იქმნეს დაყენებული და არა კანონის მკვდარი ასოები და ფორმალური მხარე.

სხვა უმუშევარი.

პროვინციაში

შორაპანი

აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც შრომის დაცვის საქმე შრომის სახალხო საკომისარიატოს ადგილობრივ ორგანოების ხელში გადავიდა. აქ შრომის დაცვის კანონები ძალიან ცუდად სრულდება და ზოგჯერ სრულებითაც არა. ამის მიზეზია უმთავრესად ის, რომ შრომის სახალხო საკომისარიატოს ადგილობრივ წარმომადგენლს ამის შესახებ არა აქვს არავითარი ინსტრუქცია და კანონები. მისთვის არაა ცხადი თუ რომელი სავაჭრო რამდენ ხანს უნდა ვაჭრობდეს, რა დროს უნდა იხურებოდეს, მოზარდეები რამდენ საათს უნდა მუშაობდეს და სხვა. არც კოლექტიურ ხელშეკრულებაზე ისმის აქ და არც რაიმე ტარიფი არსებობს სავაჭრო სახლებში მოსამსახურეებისათვის. სასურველია შრომის სახალხო კომის. ადგილობრივი წარმომადგენელი დროზე მიიღებდეს შრომის დაცვისა და შრომის ხელფასის ყველა კანონებს და დროზედვე განახორციელებდეს მას ცხოვრებაში. მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ასეთ გაურკვევლობის გამო ძალიან მძიმეა.

მუშა.

სასამართლოში

„გაცოცხლებული პურიშკევიჩები"

27 ივნისს 10 რაიონის სახალხო სასამართლოს კამერაში ი. ს. ხოდორსკის ბრალდებით ირჩეოდა ელენე და ოტტო-გაგენის საქმე სიტყვით მიყენებულ შეურაცხყოფის შესახებ იმაში, რომ ეს უკანასკნელები ეზოში მოგროვილ მრავალრიცხოვან ხალხში უძახოდენ ხოდორსკის: „ჟიდებო! ჟიდების ძალადობაა, ყველა ჟიდები უნდა ჩამოახრჩონ, დაიხოცონ, დაიხვრიტონ რადგან მთელი ბოროტება რუსეთში იმათ მიერ არის გამოწვეული".

კამერა ხალხითაა გაჭედილი.

თავმჯდომარე ვრცლად აცნობს საზოგადოებას საქმის ვითარებას, ვინაიდან საქმე მეორედ ირჩევა, სასამართლო აღარ ეკითხება მოწმეთ და გადადის მხარეების კამათზე. მომჩივან ხოდორსკის ვექილი ბ. ი. ამირაგოვი ფიქრობს, რომ ხოდორსკის საჩივარი სავსებით არის დამტკიცებული. ის სთხოვს სასამართლოს ბრალდებულებს მოეპყროს მთელის სისასტიკით რადგან მათი დანაშაული ჩვეულებრივ შეურაცხყოფის საზღვარს სცილდება.

მათ შეურაცხვეს ხოდორსკი არა როგორც ადამიანი, არამედ უნდოდათ მისი შეურაცხყოფა, როგორც ებრაელისა და ამით შეურაცყვეს მთელი ნაცია. ეს არის ძველი დროის ნაშთი. თვითმპყრობელობის რეჟიმი შუღლს სთესავდა ნაციათა შორის. ჰყოფდა ამით რუსეთის ხალხს და მონობდა მასზე. ეს სიტყვა ქონდა დანერგული რეაქციონულ მემამულეებს რუსეთის ხალხის კავშირის წევრებს. მისთვის უცხო იყო აგრესიულ, ინტელიგენცია, მოწინავე პრესა და 19 საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურა.

საბჭოთა ხელისუფლება ებრძვის ამ მძლავრებას და ზიზღის გამომჟღავნებას, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებას არ უნდა ნაციონალური შუღლით ჩამოაშოროს მშრომელთა

მასები კლასთა ბრძოლას, ვინაიდან ეს არის ბრძოლა კულტურისათვის.

ბრალდებულებისა გაგენების, დამცველი პ. ი. სარქისოვი გამოსთქვამს გაოცებას საკითხის ასეთნაირად დაყენების გამო, ვინაიდან ის ვერ ხედავს საფუძველს პროცესის ჩარჩოების ასეთ გაფართოებისათვის. ასე წყენა სიტყვა „ჟიდისათვის“ არ შეიძლება, რადგან ამ სიტყვით გაგენებს არ სურდათ შეურაცხოფა მიეყენებიათ ხოდორსკისათვის. ის ფიქრობს, რომ საქმით არ არის დამტკიცებული გაგენების დანაშაული და შეამდგომლობს გაგენების გამართლებას.

მომჩივანი ხოდორსკი ფიქრობს, რომ ბრალდებულების მიერ მიყენებული შეურაცხოფას აქვს „პოგრომული“ ხასიათი და ამ შეურაცხოფას იგი არ იღებს პირადად თავის თავზე, არამედ აკუთვნებს მთელ ებრაელთა ნაციას.

ხოდორსკი უწოდებს ამ პროცესს „ბეილისის პროცესს მინიატიურაში“. თანახმა ვარ ბრალდებულთათვის პატიებისა, მხოლოდ იმ სავალდებულო პირობით, რომ ბრალდებულებმა უნდა შეიტანონ დამშეულთა დამხმარე კომიტეტში ასი მილიონი მანეთი.

სასამართლო მიდის სათათბირო ოთახში და გამოაქვს განაჩენი, რომელიც ორივე გაგენებს სთვლის დამნაშავეთ და მიუსჯის ოტო გაგენს დაჯარიმებას 15 მილიონი მანეთით, ხოლო თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთი თვის დაპატიმრებას, ელენე გაგენს დაჯარიმებას 10 მილიონი მანეთით, და თუ ვერ გადაიხდის 2 კვირით დაპატიმრებას.

სახალხო მსაჯულთა შემადგენლობა მუშური იყო.

ეკონომიური ბიულეტენი

თბილისის ბირჟა.

თბილისი. 5 ივლისი. თბილისის სავალუტო-სავაჭრო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი: ოქროს 10 მანეთიან — 1,200,000 მან.; ოსმალური ლირა—170.000 მან.; გირვანქა სტერლინგი—1,200,000 მან. დოლარი—270,000 მან.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 4 ივლისი. უცხოეთის ვალიუტის კურსი 3 ივლისს: გირვანქა სტერლინგი—1,900,000 მან.; ფრანგული ფრანკი—21,000 მან.; იტალიური ლირა—11,000 მან.; ოსმალური ქაღალდის ლირა—165,000 მან.; დოლარი—243,000 მან.; ოქროს 10 მანეთიანი—1,125,000 მან. ოქროს ლირა—950,000 მან.

პარიზის ბირჟა.

პარიზი. 6 ივლისი (რადიო). გაზ. „ტანის“ ცნობით ბირჟაზე მდგომარეობა მტკიცეა. ბირჟაზე არის მოთხოვნილება ფრანგული რენტის, საფრანგეთის საკრედიტო საზოგადოების, რკინისგზების, სუესკის, ელექტრონის, კალასი, შაქრის, სპილენძის. ოტომანის სიწყნარეა. კულისებში დიდი გაცხოველებაა.

გადახურდავება 5 ივლისისათვის: ლონდონი — 54,185. ნიუ-იორკი—12,195. გერმანია—2 875. ბელგია—94,30. ისპანია —190,50. ჰოლანდია —472,75. იტალია—55,70 შვეიცარია —232,75. 1919 წლის ნაციონალური კრედიტი—482,50. 1920 წლის ნაციონალური კრედიტი—478,50. ოტომანის ბანკი—722. ოტომანის თამბაქო—351,1. ინდო-ჩინეთის ბანკი—2430. ჩინეთის სესხი 1912 წ—805.

ტოკიო-მარსელი 5 ივლისი. ბრინჯი—74. ჰავრი 5 ივლისი. ბამბა—351—354. ნიუ-იორკი 4 ივლისი—ვერცხლი არ არის ტრიალში. ბირჟა დახურულია ნაციონალური დღესასწაულის გამო. პარიზი 5 ივლისი. შაქარი—183—185. საიგონის პიპილა —95—100. ბომბეი — ზეთი—195. ლონდონი „კრეპი“—8. სპილენძი—62,18, ქუსტი—154 11 | 30. კალა—23 7 | 82.

ლონდონის ბირჟა.

ლონდონი, 5 ივლისი (რადიო) გადახურდავება 4 ივლ. პარიზი—53,85 ნიუ იორკი—4,44. ბრიუსელი—56,35. ჟენევა—28,28. ამსტერდამი—11 485. მილანი 95,438. ბერლინი—1962,595. ქრისტიანია—26,775. ვენა—92,000. პრაგა—231. ჰელსინგფორსი—197,5. მადრიდი—28,395. ლისაბონი—4 ერთი მეოთხედი. რიო-დე-ჟანეირო—7 ნახევარი. ბომბეი—1 შილინგი 3 სამი მეოთხედი პენსი. შანხაი—3 შილ. 7 სამი მეოთხედი პენსი. ვერცხლი—86 ხუთი მერვედი.

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 5 ივლისი (რადიო). გადახურდავება: გირვან. სტერლინგი—1930. დოლარი—434. ჰოლანდიის გულდენი—1620.

სტამბოლის ბირჟა.

კონსტანტინოპოლი, 2 ივლისი. უცხოეთის ვალიუტა 4 ივლ. გირვანქა სტერლინგი—725. 20 ფრანკი—275,9. 20 იტალიური ლირა—153,8. დოლარი—163,3. გერმანული 30 მარკა—8,2. ოქროს 10 მანეთიანი—801. ოქრო 4 ლირა ოსმალური—722.

თემის კომიტეტების ყრილობა

(8 ივლისის სხდომაზე გრძელდება ადგილებიდან მოხსენებების მოსმენა)

ბორჩალოს მაზრა.

მიმდინარე წელს დათესილია 55 პროც. მთელი სახნავი მიწებისა, რომელიც გამოიხატება 208941,4 დესიატინაში. აქედან თესვის ცენტრალური კომისიის ძალებით დათესილია 5264 დესიატინა და ადგილობრივ გლეხობის მიერ—15630 და ნახ. დესიატინა.

თესვის ცენტრალური კომისიის მიერ გამოგზავნილი მასალა დაურიგდა უღარიბეს გლეხობას, რომელნიც დაზარალდენ სტიქიური უბედურებისაგან.

მაზრაში მოწყობილ იქნა ავსტრალიის ხორბალის საცდელი დათესვა რომელსაც ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. მაზრის სხვა და სხვა ადგილებში გვალვისაგან და სეტყვისაგან დაზარალდა 1217 დესიატინა ზამთრისა და გაზაფხულის ნათესი.

მოსარწყავი არხები ცუდ მდგომარეობაშია და თუ თესვის ცენტრალური კომისია თავის დროზე არ მიაქცევს ამას სერიოზულ ყურადღებას, იგი ძალიან ცუდ გავლენას იქონიებს მოსავალზე. მოსავალს ამ ჟამად შემდეგი პირი უჩანს: ზამთრის ნათესი საშვალოზე უკეთესია, გაზაფხულის საშვალოზე ნაკლები, სიმინდი —კარგი.

თიანეთის მაზრა

დათესილ ადგილების სივრცე უდრის—2520 დესიატინას. წარსულ წელთან შედარებით დათესილ მიწების სივრცე გაიზარდა 5 პროც. აქედან თესვის ცენტრალურ კომისიის დახმარებით დათესილია 1700 დესიატინა, ხოლო დანარჩენი კი ადგილობრივი ძალებით. მოსავალს საშვალოზე მეტს მოელიან. მაზრაში მოხდა ავსტრალიის ხორბალის საცდელი დათესვა. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

14 ივნისს სეტყვისაგან დაზარალებული ნათესი გამოკეთდა.

დუშეთის მაზრა.

დათესილ მიწების სივრცე უდრის 16000 დესიატინას. 1921 წელთან შედარებით დათესილი მიწების რიცხვი გაიზარდა 15 პროც. თესვის ცენტრალური კომისიის დახმარებით დათესილ იქნა 3.550 დესიტინა მიწა, დანარჩენი კი ადგილობრივ გლეხობის მიერ. მოსავალს შემდეგი პირი უჩანს: გაზიფხულის საშვალოა, ზამთრის კარგი; სიმინდისა და ფეტვის კარგ მოსავალს მოელიან.

მაზრაში მოწყობილ იქნა ავსტრალიის ხორბალის საცდელი დათესვა. შედეგები კარგია. სეტყვას ძალიან არ დაუზიანებია ნათესები, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ხშირი წვიმების გამო ნათესები ზიანდება, განსაკუთრებით მთიან რაიონებში. თუ ამინდი კარგი იქნა მოსავალს შეუძლია მოგვცეს ერთ მილიონ ფუთამდე სხვა და სხვა ხორბლეული.

კოოპერაცია

თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივში

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ მუშათა კოოპერატივის თავმჯდომარემ გაუგზავნა საქართველოს ყველა მუშათა კოოპერატივებს შემდეგი უწყება:

საქართველოს მუშათა კოოპერატივების თათბირმა 1921 წ. 26—27 ნოემბერს, აუცილებელ საჭიროდ იცნო დაჩქარებითი ორგანიზაციული გაერთიანება ახალგაზდა მუშათა კოოპერატივებისა და შექმნა რესპუბლიკანური ცენტრი მუშათა კოოპერატივებისა „საქართველოს ცენტრალური მუშათა კოოპერატივი.“

ყველასათვის ცხადი იყო თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ცენტრის არსებობას, რომელიც მიიღებდა თავის თავზე ხელმძღვანელობას და გაძღოლას აქამდის დაქსაქსულ კოოპერატივების მუშაობისას.

მაგრამ თათბირის სურვილი დღევანდლამდის სისრულეში არ არის მოყვანილი.

საქართველოს ცენტრალური მუშათა კოოპერატივი, საქართველოს მუშათა კოოპერატივების თათბირზე მიღებული დებულების თანახმად, უნდა არსებობდეს ცეკავშირთან და აწარმოებდეს მთელ თავის მუშაობას მისი აპარატის საშვალებით; იგი დღევანდლამდის არ შედგომია მუშაობას მთელი რიგ მიზეზების გამო, რომელთა შორისაც ერთი არის ცეკავშირის მიერ მუშათა ცენტრალური კოოპერატივის წესდების დაუმტკიცებლობა.

ცეკავშირთან უთანხმოების მთავარი შინაარსი ის არის, რომ ცეკავშირს დაჟინებით არა სურს ცენტრალურ მუშათა კავშირს მიაკუთვნოს იურიდიული აზროვნების უფლებანი და ცეკავშირის ყრილობაზე მუშათა კოოპერატივების წარმომადგენლობის ნორმა, რომელიც წარუდგინა მას მუშათა ცენტრალურმა კოოპერატივმა რათა შესაძლებელი გახდეს საერთო-სამოქალაქო კოოპერატიაზე გავლენა-გაძლიერება, რასაც ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში აქვს ადგილი.

ამას შედეგათ მოჰყვა ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომლის დროსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშათა კოოპერაცია დარჩა თავის ანაბრად და განზე დატოვებული.

რათა საბოლოოდ მოსპობილ იქნეს ეს არა ნორმალური მდგომარეობა, საქართველოს ცენტრალურმა კოოპერატივმა დასვა საკითხი საკუთარი აპარატის მოწყობის აუცილებლობის შესახებ, რომელიც დროებით იარსებებს ამიერ კავკასიის ცენტრალურ მუშათა კოოპერატივთან.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ მუშათა კოოპერატივმა, საქართველოს ცენტრალურ მუშათა კოოპერატივში შექმნილი მდგომარეობისა და მუშათა კოოპერაციის ინტერესების გამო, რომელიც აუცილებლად მოითხოვს დაჩქარებით ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას და სავაჭრო სამეურნეო ოპერაციების გაერთიანებას, დაადგინა საქართველოს ცენტრალურ მუშათა კოოპერატივის შეამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

ამის გამო ამიერ კავკასიის ცენტრალური მუშათა კოოპერატივი სთხოვს საქართველოს ყველა მუშათა კოოპერატივებს დაჩქარებით გამოგზავნონ ანგარიში წარსული მუშაობის შესახებ და ბალანსი 1922 წლის 1 ივნისისათვის და აგრეთვე ცნობები იმის შესახებ თუ რაოდენი და რაგვარი საქონლის ფონდია მათ განკარგულებაში, როგორია მათი ფასი და რა საქონელი და რამდენი ესაჭიროებათ მათ.

ეს ცნობები საჭიროა ამ თავითვე მუშაობის სამეურნეო გეგმის შესამუშავებლად.

მომავლისათვის გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ნორმალურათ ყოველთვიური ანგარიში და თქვენი ოქმების ასლი.

მუშათა კოოპერაციის საერთო მდგომარეობის ყოველ მხრივ გამოსარკვევათ ჩვენ ვიწყებთ შემოწმებას და დათვალიერებას, რისთვისაც ამ დღეებში ყველგან დაგზავნილი იქნებიან ჩვენი წარმომადგენლები.

„ბავშვთა ქალაქში“

(საკუთარ სპეციალ კორესპონდენტისაგან)

საბავშვო 8—9 სახლ-კოლონიიდან, რომელიც ამ ჟამათ იმყოფება „ბავშვთა ქალაქში“ (კოჯორში), ჩვენ დავათვალიერეთ სახალხო განათლების კომისარიატის სამი საცადი მაჩვენებელი სახლი. ქართული (№ 1), სომხური (№ 2) და რუსული (№ 3). დავათვალიერეთ რასაკვირველია არა დეტალურად, არა საათობით, არა სარევიზიო გამორკვევით და გრძელ-გრძელი დაკითხვებითა და სხვ. მაგრამ ის საერთო შთაბეჭდილობა და ის ფაქტიური ცნობები, რომელიც ჩვენ მივიღეთ თვითეული სახლის ნახევარ საათის განმავლობაში დათვალიერების დროს, ბავშვებთან საუბარში, საჭმელის გასინჯვაში, ბავშვთა საწოლების დათვალიერებაში და სხვ,—სრულებით საკმარისია შემდეგი დასკვნების გასაკეთებლად: თბილისის ქუჩებიდან შეგროვილი ობლები, მუშათა უბნების ბავშვები იმყოფებიან მოსიყვარულე და გამოცდილ პედაგოგ-აღმზრდელების ხელში.

სამივე სახლში ბავშვები (3 წლიდან 15 წლამდე) იყოფიან ორ ჯგუფად: ძირითადი მთავარი და დროებითი. ძირითადი ჯგუფს შეადგენენ: ობლები, თავის ბედის ამარა დატოვებული ბავშვები რომელნიც მოაგროვეს თბილისის ქუჩებზე, სავსებით ღარიბ ღატაკი მშობლების შვილები. ისინი მუდმივი „მცხოვრებნი“ არიან საბავშვო სახლისა, რომელნიც მოათავსეს ამ სახლებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან და რომელნიც ეხლა გაემგზავრება საგარაკოთ თბილისიდან „ბავშვთა ქალაქში“.

დროებითი ჯგუფს შეადგენს: „პროფკავშირთა ბავშვები“, პროფ-კავშირთა წევრების ბავშვები, რომელნიც საზაფხულოდ დასასვენებლათ გაგზავნილნი არიან ბავშვთა ქალაქში. ჯერ-ჯერობით პროფ-კავშირმა ვერ მოაწყო თავისი საკუთარი საბავშვო აგარაკი და ისინი მოთავსებულნი არიან სახალხო განათლების კომისარიატის საცადი მაჩვენებელი სახლებში.

პირველ სახლში ძირითად ჯგუფში ირიცხება 30 ბავშვი, დროებით ჯგუფში—16; მეორე სახლში ძირითად ჯგუფში—50 ბავშვი, ხოლო დროებით ჯგუფში—15; მესამე სახლში ძირითად ჯგუფს ყავს 50 ბავშვი და დროებითს 35.

ამა თუ იმ ჯგუფის ბავშვთა შორის განსხვავება ძალიან მკაფიოა. ეს მიტომ კი არა რომ ისინი ცხოვრების სხვა და სხვა პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი, მათ სავსებით ერთნაირად ეპყრობიან, ისევე აჭმევენ ასმევენ და ამეცადინებენ. მაგრამ ძირითადი ჯგუფის ბავშვები უკვე შეეჩვივნენ ცხოვრების პირობებს, პერსონალს, სახლის წეს რიგსა და ჩვეულებებს, მათ უკვე შეიმუშავეს კოლექტიური ჩვეულებანი, ამხანაგებთან მუშაობაში, მეცადინეობაში და თამაშობაში მუდმივათ ყოფნის გამო. ისინი ცოცხლად ლაპარაკობენ, არავის არ გაურბიან, ძალიან მხიარულად და თავისუფლად გრძნობენ თავს. მათ უკვე აქვთ თავისი კოლექტიური დისციპლინა და წესრიგის დაცვა.

გარდა ამისა ისინი უეჭველად უფრო გასუქებულნი არიან, რადგანაც მათ კარგათ უვლიდენ ამ სახლში ხანგრძლივად ყოფნის დროს. სიცოცხლე და სუფთა ჰაერსა და ბრწყინვალე მზეში მსწრაფლ დაგროვილი ენერგია პირდაპირ გამოსჭვივის მათში. მართლაც დიდი ხანია არ გვინახავს ჩვენ ისეთი ჩასუქებულ მოცინარნი, როგორც ეს სამი-ოთხი წლის გოგონები.

პროფ-კავშირთა ბავშვებს ჯერ კიდევ აზისთ ქალაქის ცხოვრების ბეჭედი, რომელიც ვერ მოაცილა მათ ვერც მთ ვერც მზემ, ვერც მოსიყვარულებამ და ვერც კარგმა კვებამ. აგარაკზე ისინი დიდიხანი არ არის მას შემდეგ რაც მოსულან, ვერ შეჩვეულან ჯერ კიდევ თავდაუვიწყებელ ბავშურ სიმხიარულეს, გატაცებულ თამაშს და თავისი თავისუფლებისა და ხანგრძლივი საზაფხულო დღის სათანადოთ გამოყენებას. ყოველივე, რასაკვირველია, ეს თავისდროზე მოხდება.

როგორ კვებავენ ბავშვებს? აი პირველი საკითხი, რომელმაც დაგვაინტერესა ჩვენ.

ყველაზე უფრო დამარწმუნებელი პასუხი ამისა გახლავთ თვით ბავშვების შეხედულება: ჯანსაღი, მაგარი და ზოგიერთი შემთხვევები—ძალიან გასუქებულიც. ორი კვირის უკან საბავშვო სახლების სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფის საქმე ვერ იყო რიგიანათ დაყენებული. მათ უმთავრესად უგზავნიდენ ბრინჯს, ბავშვებსაც უმთავრესად ერთი და იგივე საზრდო ეძლეოდათ; ეს ყველას მოსწყინდა და ავათმყოფობის დაწყების შესაძლებლობის საფრთხეც დაიბადა. ხუმრობით ამ საბავშვო სახლებს უძახოდენ „წმინდა ბრინჯის მონასტერს“.

ამ ჟამად ეს საკითხი მოწესრიგებულია. სურსათ სანოვაგით უზრუნველყოფა სახალხო განათლებებს აქვს დავალებული, მათ უგზავნიან დიდძალ წვენილს, კვირაში 5—6 ჯერ ხორცს და სხვ. პურს კარგს აძლევენ.

ბავშვები დღეში 5-ჯერ სჭამენ: ჩაი, საუზმე, სადილი, ჩაი და ვახშამი.

მეცადინეობა (ანბანის სწავლება), ხელის თოლი სამუშაო (გამოკვეთა, კალათი დაწნა, ფეხსაცმლების მოქსოვა და სხვ), კოლლექტიური მოძრავი თამაშობანი, გასეირნება და სხვ. ავსებს ბავშვთა თავისუფალ დროს.

სომხურ სახლში ბავშვები საკუთარი ძალით უკვე მართავენ წარმოდგენებს.

ბავშვებს აჩვევენ თვით თავისმოწყობას და თვით სამსახურს: ყოველდღე ინიშნება სპეციალური მორიგე საწოლ ოთახში, სამზარეულოში, პურის დასარიგებლად და სხვ. რასაკვირველია ყოველივე ეს ბავშვებს არ უძნელდებათ და მათთვის ძალიან გასართობი სამსახური კი არის.

ასე მიმდინარეობს დღიდან დღემდე ბავშვების ცხოვრება „ბავშვთა ქალაქში“ ცხოვრება. თითქოს ერთფეროვანია, მაგრამ ნამდვილად კი იგი აფერადებულია ბავშვთა სასარგებლო დასვენებით, სიცილით, თამაშობით, მზით, შესანიშნავი ჰაერით, მზრუნველობით და პედაგოგიური და ტეხნიკური პერსონალის სიყვარულით.

სახლებში ავადმყოფი ბავშვები არ არიან (წარსულ წელში, მარტში, სომხურ სახლში იყო 35 ჭლექიანი ავადმყოფი).

ჩვენ დავბრუნდით „ბავშვთა ქალაქიდან“ სიხარულისა და სიყვარულის გრძნობებით—იმ დიადი საქმისათვის, რომელიც პატარა ფარგალში შესანიშნავათ სრულდება ერთგულ და თავდადებულ მუშაკების პატარა ჯგუფისაგან.

დ. ზახაროვი.

პროვინციაში

ამხ. დათიკო ფოცხიშვილის ხსოვნას.

ამა წლის 14 ივნისს, გურიის ორგანიზაციას ულმობელმა სიკვდილმა სრულიათ უეცრათ გამოგვაცალა ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლი კომუნისტი—ძვირფასი ამხანაგი დათიკო ფოცხიშვილი. მას როგორც, ერთ დაუღალავ და ენერგიულ პარტიულ მუშაკს, კარგათ იცნობს, როგორც გურიის, ისე სხვა ორგანიზაციებიც. ამხ. დათიკო, სოფლის მასწავლებელი იყო, მან ამ პროფესიაზე დაჰყო თვის სიკვდილამდე. ითვლებოდა საუკეთესო მასწავლებლად.

ამხანაგ. დათიკოს, როგორც აქტიურ მუშაკს, ჩვენ ვხედავთ კიდევ 1919 წლიდან. მისი პარტიულ მოღვაწეობის მანძილზე აღსანიშნავია 1917—18—19—20 წლები, როცა ამხანაგი თავისი ენერგიული მუშაობით ამაგრებს ჩვენს პარტიულ რიგებს პროვინციებში. უმთავრესათ კი გურიაში, სადაც ამ დროს, მენშევიკების უსაშინლესი სუსხის გამო, სისხლი ეცლებოდა ჩვენს კომუნისტურ ორგანიზაციებს. და აი სწორეთ ამა დროს მას სხვა ამხანაგებთან ერთად აპატიმრებენ და აშორებენ სოფელს, რის შემდეგ მან დაჰყო თბილისის (მეტეხის) ციხეში თითქმის ერთი წელი, შემდეგ ქუთაისისა და ოზურგეთის ციხეებში, საიდანაც, თანახმად რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებისა, პარტიის ლეგალურათ გამოცხადების გამო განთავისუფლებულ იქნა, რეპრესიებმა მასზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონიეს. გამოდის თუ არა ციხიდან, ის ისევ დაუღალავათ უდგება პარტიულ მუშაობას.

ამის შემდეგ კიდევ არა ერთხელ და ორხელ მიუღიათ მენშევიკებს მის წინააღმდეგ, როგორც საერთოდ, სასტიკი რეპრესიული ზომები, მაგრამ დაღლილობა მას სრულიათ არ დამჩნევია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან მას სრულებით მოსვენება არა ქონია. ხან პოლიტიკურ ორგანიზაციულ მუშაობაში იყო ჩაბმული.

ამ ბოლო დროს ამხანაგი გადაგზავნილ იქნა ბათომის საოლქო კომიტეტის განკარგულებაში, სადაც მან მიიღო დანიშვნა აჭარის სახალხო განათლების კომისრის თანაშემწის თანამდებობაზე, მაგრამ სწორეთ ამ დროს ულმობელმა სიკვდილმა სრულიათ უეცრათ გამოგვტაცა ჩვენი ძვირფასი და დაუღალავი ამხანაგი, რამაც დიდად დაამწუხრა ყველა ჩვენი ამხანაგები.

უკანასკნელად გემშვიდობებით ძვირფასო დათიკო!

შენს ენერგიულ დაუღალავ მუშაობას და მოღვაწეობას არას დროს არ დაივიწყებს გურიის და კერძოდ ხიდისთავის რაიონული ორგანიზაცია.

მოსე მეგრელიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სპეციალური სარკინისგზო კომისიის შესახებ.

1. სპეციალური სარკინისგზო კომისია არსებობს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან და შესდგება: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, რკინის გზათა სამმართველოსა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან.

2. კომისიას ექვემდებარება განსახილველად ყველა სატარიფო საკითხი (ახალი ტარიფების დაწესება და არსებულის შეცვლა) და აგრეთვე ყველა ის სარკინისგზო საკითხი, რომლის განხილვა და დამტკიცება დამოკიდებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსაგან.

3. სატარიფო საკითხების განხილვის დროს კომისიის სხდომაში აუცილებელია შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობა: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, რკინის გზის სამმართველოსი, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის; დანარჩენი საკითხებისათვის საკმარისია სამი წარმომადგენლის მონაწილეობა, ბოლო რკინის გზის წარმომადგენლის მონაწილეობა-სავალდებულოა.

4. კომისიას ნება ეძლევა თავის შეხედულებით მოიწვიოს ხოლმე კომისიის სხდომაზე საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და კერძო პირნი სათათბირო ხმით.

5. საკითხები კომისიის სხდომაზე გადასწყდება დამსწრეთა ხმის მარტივი უმრავლესობით.

6. გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ კომისიის მხოლოდ იმ წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან ამა დებულების 1 მუხლში.

7. კომისიის სხდომებს საჭიროებისდა მიხედვით, დანიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

8. კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო კომისიის წევრთაგან (დებულების 1 მუხ.)

9. კომისიას განკარგულებითი ფუნქციები არა აქვს. კომისიის ყოველი დადგენილება მოხსენდება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს კომისიის თავმჯდომარის მიერ.

10, კომისიას უფლება ეძლევა მიიღოს ყველა საბჭოთა საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებათაგან, მისთვის [illegible] მიერ განსახილველი საკითხის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 5.
ტფილისი—სასახლე.

პროფესიული მბეჭდავთა შორის

კვირას, 9 ივლისს დილის 8 საათზე პროფკავშირების საბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია მბეჭდავთა კავშირის წევრთა

საზოგადო კრება

დღიური წეს რიგი:

1) საერთაშორისო მდგომარეობა.
2) ანგარიში ცენტრალური გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
3) არჩევნები დელეგატებისა სრულიათ საქართველოს სიეზდზე.“
4) ანგარიში პოლიგრაფიული განყოფილებისა.
5) სხვა და სხვა.

გამოცხადება ყველა წევრთათვის თავის დროზე სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი: **გ. ბერბერაშვილი.**

სარედაქციო კოლეგია

საჯარო ვაჭრობა

სახალხო სასურსათო კომისარიატის ცენტრო-საწყობში

(ელისაბედის ქ, № 133).

კვირას, ივლისს 9 ს, დილის 11 საათიდან

გაიმართება საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება სხვა და სხვა ნახმარი საგნები, რომელიც ინახება ფართლეულისა, სატეხნიკო, პურჭლეულისა და ხილეულის განყოფილებებში, მათ შორის: ნაბდები, ჩულები და მისი ნაწარმოებნი, მატყლის ხელთათმანები, ქუდები, ტუფლები, ტომრები, ფქვილი ბავშვებისათვის, ადგილობრივი ყველი, კაკალი, სპარსული ფხვიერი, ბორა, ქუჭყიანი ქვა-მარილი, კაკაო, ყავა, სვია, ხამუთები, საოფლე, ფეხსაცმელი, ხარის ტყავი, ბაკები, ჩაიდანები, ქაღალდი, ჯამები, ტაზები, კრუშკები, ბიდონები, რკინეული და სხვა.

ვაჭრობაში მონაწილეთ საწინდრად შეაქვთ 25 პროცენტი.

(3—1)

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ფულის დაგვიანებით მიღებისა და გაზეთების გზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, გაზეთის ტ რ ე ს ტ ი ს მთავარი კ ნტორა იღებს ხელის მოწერას ივლისის და შემდეგი თვეებისათვის.

ხელის მოწერა მიიღება თბილისს და ბათუმს ყველა გაზეთებზე.

ხელის მოწერის ფასი—ძველია.

ვინც 30 ივნისამდე არ მოაწერს ხელს, მათ მოესპობათ გაზეთების გზავნა 1 ივლისიდან.

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—5)

ქ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ პარასკევს 7 ამა ივლისს, დღითი 12 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია უკანასკნელათ

საჯარო ვაჭრობა

სასტუმრო „ინტერნაციონალის“

სასტუმრო შესდგება 27 ოთახისგან, სოლოლაკის ქ. ვაჭრობა იწყება 60 მილიონიდან. პირობის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-50 ოთახში.

(1—1)

ქ. თფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებ, რომ კვირას 9 ივლისს დღისით 12 საათზე დანიშნულია უკანასკნელი

საჯარო ვაჭრობა

ქვემო ჩამოთვლილ სასტუმროებზე

1 მასის სიონის ქ. № 8	ოთახი	ვაჭრობა	იწყება
2 საერო ელისაბედის ქ. № 2	„	„	„
3 პარიჟი თივის მოედანი 5	„	„	„
4 პეტროგრადი პლეხ. ქ. № 6	„	„	„
5 ერმიტაჟი პუშკინის ქ. № 29	„	„	„
6 რევიერა დიდი მთავრის ქ. № 1		„	„
7 კომერციულ ნომრები სიონის ქ. № 8		„	„

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მე-50 ოთახში გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში.

(3—1)

ქ. ტფილისის მე-6 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ **მუხამედ სადიხ ხაირულს ძე** კრიმჩეევის დანაშთ ქონებაზედ თავის კამერაში (ყურპ-კარაპეტის ხევი № 3), დღიდან ამის გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში.

სახ. მოს. (ხელს აწერს).

დაიკარგა

პირადობის მოწმობა და მეტრიკა მოცემული სოფელ დილიკაურის რევკომიდან, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ვანიჩკა ლავრენტის ძე კახნიაშვილის.

1—1

ტირაჟი 10,000.
ნ. დ. ს. ც.
საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.